ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი მილიციის მხრიდან სასტიკი ცემის შედეგად საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა“



გვ.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათი, 11 დეკემბერი, 2023 №243 (9279) ფასი: 80 თეთრი

# „პრეზიდენტს ძირს უთხრიან! ზურაბიშვილი პირადად ივანიშვილისთვის საფრთხეა!“



დავით ზურაბიშვილი: „გახარიას პარტიას 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი აქვს, რადგან ის სხვა ტიპის ამომრჩეველზე გადის, ვისთვისაც ნაცმოძრაობა მეტი ბოროტებაა, ვიდრე „ქართული ოცნება“, მაგრამ არც „ოცნება“ უნდათ“



გვ.2

## „ადამიანის უფლებების მდგომარეობა ქვეყნისთვის ისევ აქილევსის ქუსლია“

გვ.3



გიორგი თევზაძე: „საბანკო პოლიტიკის გადახედვაა მნიშვნელოვანი. ბანკი მარტო დადგენილ მაღალ საპროცენტო განაკვეთზე არ უნდა ზრუნავდეს“

## „ნაციონალების რეიტინგი მხოლოდ მიშას რეიტინგია“



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „მელია 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს“



გვ.4

## რღვევა ნაციონალურ მოძრაობაში







ამბები აფხაზეთის ომიდან



## დოდო გუგეშაშვილი: „არ მასვენებს სეპარატისტების „შეჯანჯღარების“ სურვილი“

გვ.5

მედიცინა

## რამდენს იმატებს ბავშვი ერთ წლამდე

გვ.5



3 ნაციონალური მოძრაობა თბილისის ორგანიზაციის წევრებმა დატოვეს

2 ომბუდსმენი: „2023 წელს შეკრების თავისუფლებაში ჩარევისას, რიგ შემთხვევებში, პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა“

6 აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და იაპონიამ ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის დაბლოკვისკენ მოუწოდეს

# „პრეზიდენტს ძირს უთხრიან! ზურაბიშვილი პირადად ივანიშვილისთვის საფრთხეა!“

## დავით ზურაბიშვილი: „გახარიას პარტიას 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი აქვს, რადგან ის სხვა ტიპის ამომრჩეველზე გადის, ვისთვისაც ნაცმოძრაობა მეტი ბოროტებაა, ვიდრე „ქართული ოცნება“, მაგრამ არც „ოცნება“ უნდათ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



***– ბატონო დავით, 15 დეკემბერს საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდებით კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. მოლოდინი დადებითა, მაგრამ ორბანის განცხადებების შემდეგ, ზოგს მაინც გაუჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, რაღაც შეიცვალოს. თქვენ რა განწყობა გაქვთ, რას ელოდებით?***

– მე საერთოდ ვერ ვხედავ რაიმე საფრთხეს იმ თვალსაზრისით, რასაც ჰქვია ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის დამტკიცება. ორბანი რასაც ლაპარაკობს, ცხადია, რომ ის კარგად არ იქცევა, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია. ის აფერხებს ევროკავშირის გაფართოების პროცესს უკრაინასთან მიმართებაში. ის ამბობს, რომ უკრაინასთან არ უნდა გაიხსნას მოლაპარაკებები გაწევრიანებაზე. სამიტი, რომელიც უნდა შედგეს 15 დეკემბერს, იქ მარტო ეს საკითხი არ განიხილება. იქ სხვა საკითხებიცაა და ჩვენ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ თუ არა, ეს არ არის იმაზე დამოკიდებული, უკრაინასთან გაიხსნება თუ არა მოლაპარაკებები. ისე რომ, ან ყველას ერთად და ან არც ერთს, ასეთი რამე არ ხდება.

***– ცალკე განიხილება უკრაინის საკითხი? ბევრი საუბრობს, რომ რადგან ერთ კალათაში ვართ, ერთად განიხილავენო.***

– ასე არ ხდება. უკრაინას და მოლდოვას რომ სტატუსი მისცეს და ჩვენ არ მოგვცეს, მაშინ ერთად ხომ არ განგვიხილეს? ვიღაცას მისცეს, ვიღაცას – არა. ყველა განიხილება ინდივიდუალურად. უკრაინასთან თუ არ გაიხსნა, თავისთავად ეს კარგი ფაქტი არ იქნება, მაგრამ მე არა მგონია, ამან ჩვენ შეგვიშალოს რამეში ხელი, კონკრეტულად ამ საკითხში, რასაც კანდიდატის სტატუსი ჰქვია. მით უმეტეს, ევროკავშირის რეკომენდაცია გაცემულია. ვფიქრობ, რომ ორბანსაც დაითანხმებენ.

***– ორბანის განცხადებები რუსეთის ინტერესებშია?***

– რუსეთის ინტერესებში არის, მაგრამ, ასე იქნება თუ ისე, არანაირი საფრთხე არ ემუქრება ჩვენს კანდიდატის სტატუსს, ეს ჩვენთან არანაირ კავშირშია. საერთოდ რატომ ატეხეს ამხელა ამბავი ვიღაც-ვიღაცეებმა, მე ესეც არ მესმის. უფრო მეტად ამაში ვხედავ იმ მომენტს, რომ ზოგიერთს კიდევ ვერ მოუნელებია, ამ ხელისუფლების პირობებში რომ ვიღებთ სტატუსს. ბევრი თვლის, რომ არ ეკუთვნოდათ. მეც კი ვთვლი, რომ არ ეკუთვნოდა ამ ხელისუფლებას, მაგრამ ქვეყანას ეკუთვნის! უნდა გაიგონ, რომ ქვეყანას სჭირდება და არ შეიძლება, რომ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებით შეხედო ქვეყნის ინტერესს.

***– ამ შემთხვევაში ოპოზიციის ბოლმა უფრო ჩანს?***

– მთელ ოპოზიციაზე ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ ნაწილის კი. ვინც ასე ლაპარაკობს, ნამდვილად ასეა. მხოლოდ და მხოლოდ ეს მომენტია.

***– ბატონო დავით, ოპოზიცია ვახსენეთ და გასული კვირის ბოლოს, როგორც იქნა, ნიკა მელიამ გაბედა და დატოვა ნაციონალური მოძრაობა. საუბარია, რომ პარტიიდან ბევრი ადამიანი გაიყოლა და ახალი პარტიის შექმნაც დააანონსა. რამდენად სწორი ნაბიჯი იყო ეს მელიასგან და რამდენად ასუსტებს ეს ნაციონალურ მოძრაობას?***

– ნომერ ხუთს, რა თქმა უნდა, ასუსტებს, რადგან ამას მოყვება გარკვეული რაოდენობის ადამიანები. ამას შევადარებდი დაახლოებით იმ სიტუაციას, როდესაც „ევროპული საქართველო“ გამოეყო. იმ დროსაც საკმაოდ ბევრი ხმები წამოიღო „ევროპულმა საქართველომ“. აქაც დაახლოებით იგივეს ველი. ნიკა მელია თუ ახალ პარტიას შექმნის და მას თუ შეუერთდება ხატია დეკანოიძე, რომან გოცირიძე და ნაცმოძრაობის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი სახეები, ისინი 5%-იან ბარიერს გადავლენ. ეს კი ძირითადად იქნება ნაცმოძრაობის ყოფილი ამომრჩევლის ხარჯზე.

***– სხვა პატარ-პატარა პარტიებთან გაერთიანებას გამორიცხავთ?***

– იმ პატარა პარტიებს, ფაქტობრივად, არანაირი ელექტორატული ღირებულებები არა აქვთ. დაახლოებით ერთი ტიპის ამომრჩეველი ჰყავს გახარიას, ელისაშვილს და ანა დოლიძეს. დანარჩენებს ყველას ჰყავთ ზუსტად იმ ტიპის ამომრჩეველი, რომლისთვისაც ნაცმოძრაობა არის ნაკლები ბოროტება, როგორც მინიმუმ, ვიდრე „ქართული ოცნება“. ამიტომ დანარჩენებისთვის ძალიან რთულია, რომ სერიოზულ ელექტორარულ მაჩვენებელზე გავიდნენ.

თითქმის ერთნაირი მესიჯბოქსი აქვთ. თუნდაც „ლელო“ ავიღოთ, „ლელოს“ სხვა პარტიებთან შედარებით ფინანსები აქვს, ხალხიც ჰყავთ, მაგრამ 2-3%-ს ვერ აცდებიან ისინი. მათი რიტორიკა, აბსოლუტურად არაფრით არ განსხვავდება ნაცმოძრაობისგან. პოლიტიკაში ისე არ ხდება, როგორც საბანკო სისტემაში, საქართველოს ბანკს რომ რაღაც პროდუქტი აქვს, თიბისიც რომ იგივეს შესთავაზებს და კლიენტს წაართმევს. პოლიტიკაში არის რაღაც თემები, რომელიც იმდენად ასოცირებულია ნაციონალურ მოძრაობასთან. ეს რომ აღარ ასოცირდებოდეს ნაციონალურ მოძრაობასთან და სხვა პარტიასთან ასოცირდებოდეს, ამომრჩეველში ამ შეხედულების დამკვიდრებას შეიძლება ათი წელიც კი დასჭირდეს. ამიტომ დანარჩენი პარტიები, გახარიას, ელისაშვილის და დოლიძის გარდა, უნდა განვიხილოთ, როგორც ნაციონალებთან ასოცირებულნი. ისინი შეიძლება მელიასთან გაერთიანდნენ და დაახლოებით 1-2%-მდე შესძინონ მელიას პარტიას. ეს ის ელექტორატია, რომელიც თვლის, რომ ნაცი მაინც ნაკლები პრობლემაა, ვიდრე ქოცი. მელიას ასევე დასათვლელი ექნება ისიც, რომ ვინც მას ნაციონალური მოძრაობიდან გამოყვება, იმათ რამდენად ენდომებათ ხაზარაძესთან ან ვიღაც სხვა პარტიებთან ურთიერთობა.

***– როგორ ფიქრობთ, მიშა დარჩება ნომერ ხუთთან?***

– სააკაშვილი, რა თქმა უნდა, პრიორიტეტს მიანიჭებს ხუთ ნომერს. თუმცა ის მაინც შეეცდება, რომ სხვებსაც არ ელაპარაკოს უხეშად და მკაცრად. მე მას რამდენადაც ვიცნობ, ის შეეცდება, თან იყოს ნაციონალური მოძრაობის ლიდერი და თან ზეპარტიული ლიდერივით გამოჩნდეს.

***– იმის თქმა გინდათ, რომ მელიასთანაც არ დაწვავს ხიდებს?***

– არა, არავითარ შემთხვევაში არ იზამს ამას. არ სჩვევია მას ასეთი მკვეთრი დამოკიდებულებები. ევროპულ საქართველოსთანაც ცოტა გვიან გააკეთა ეს.

***– ასევე საკმაოდ გააქტიურდა გიორგი გახარია. სამომავლოდ რამდენად მკვეთრი იქნება მისი განცხადებები?***

– არ არის აუცილებელი მკვეთრი განცხადებები აკეთოს. გიორგი გახარიას აქვს ერთი პლუსი სხვებთან შედარებით, მას ჰყავს თვისობრივად სხვა ტიპის ამომრჩეველი. გახარია ერთადერთი პარტიაა, რომელსაც 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი აქვს და რომელიც გადის სხვა ტიპის ამომრჩეველზე. სწორედ ისეთზე, ვისთვისაც ნაცმოძრაობა მეტი ბოროტებაა, ვიდრე „ქართული ოცნება“, მაგრამ არც „ოცნება“ უნდა და ასეთი ამომრჩეველი საკმაოდ ბევრია. ამ ფლანგზე აშკარა ლიდერი, სწორედ გახარიას პარტიაა. ისაა ერთადერთი, რომლის რიტორიკაც არსებითად სხვანაირია, ვიდრე ნაცმოძრაობის და ნაცმოძრაობასთან გათანაბრებული სხვა პარტიების. ვფიქრობ, რომ ეს უფრო პერსპექტიული გზა არის ამომრჩევლის მოზიდვისთვის, ვიდრე ის, რასაც ბევრი სხვა პარტია აკეთებს, რომლებიც ცდილობენ, ნაცმოძრაობის მოედანზე ითამაშონ.

***– ბატონო დავით, ბოლო პერიოდია, „ქართულმა ოცნებამ“ მოუმატა საუბრებს პრეზიდენტთან დაკავშირებით. ვისმენთ ექსპერტების შეფასებებს, რომ შიშებს ავლენს „ოცნებაო“. ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ არჩევნებამდე ორი თვით ადრე გადადგება პრეზიდენტი და ოპოზიციას ჩაუდგება სათავეშიო. რამდენად რეალური შეიძლება გახდეს ხელისუფლების შიში?***

– პრეზიდენტს რომ ძირს უთხრიან, ეს ბუნებრივია. „ქართული ოცნება“ ლამის ყოველ კვირა ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს და მერე იმის მიხედვით ავრცელებს მესიჯბოქსებს. აშკარაა, რომ სალომე ზურაბიშვილი არის საფრთხე ხელისუფლებისთვის. ამ შემთხვევაში პირადად ბიძინა ივანიშვილისა და მისი ძალაუფლებისთვის. შესაძლოა, პრეზიდენტი გახდეს არანაცური ამომრჩევლის მაკონსოლიდირებელი. ოღონდ, აქ პრობლემა არის ფორმა. როგორ უნდა გაკეთდეს ეს. რასაც კობახიძე ამბობს, რომ გადადგება და სათავეში ჩაუდგება, ეს ნაკლებად რეალისტური მგონია.

***– რატომ?***

– რომ გადადგეს სალომე ზურაბიშვილი, მერე პრეზიდენტის არჩევნები ხომ უნდა ჩატარდეს? თან უნდა ჩატარდეს ახალი სისტემით. საპარლამენტო არჩევნების წინ გადადგეს პრეზიდენტი და მერე პრეზიდენტად აირჩიონ, იგივე კობახიძე, რაც სრულიად შესაძლებელია, რადგან ეს პროცესი მთლიანად მმართველი პარტიის ხელში იქნება და ვისაც უნდა, იმას აირჩევენ. ეს კი, არა მგონია, ოპოზიციისთვის მაინცდამაინც სასარგებლო იყოს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სჯობს სალომე ზურაბიშვილმა დაასრულოს საპრეზიდენტო ვადა?***

– რა თქმა უნდა. სანამ ეს ხელისუფლებაა, სჯობს პრეზიდენტის ინსტიტუტი იყოს შედარებით დამოუკიდებელი და დასავლეთისთვისაც სანდო. თუმცა პრეზიდენტს მაინც შეუძლია, გადადგომის გარეშე, ოპოზიციური ძალების ერთგვარი შემკვრელი გამოდგეს. პოლიტტექნოლოგიურად ამას რამდენად მოახერხებს, ვერ გეტყვით, რადგან მის გვერდით დიდ პოლიტტექნოლოგებს ვერ ვხედავ.

# ომბუდსმენი: „2023 წელს შეკრების თავისუფლებაში ჩარევისას, რიგ შემთხვევებში, პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა“

სახალხო დამცველის ლევან იოსელიანის შეფასებით, წელს, შეკრების თავისუფლებაში ჩარევისას, რიგ შემთხვევებში, პოლიციელებმა არაპროპორციული ძალა გამოიყენეს.

როგორც ომბუდსმენის განცხადებაშია ნათქვამი, საჭიროა ახალი კოდექსის შემუშავება, რადგანაც „საბჭოთა პერიოდის მოქმედი კოდექსი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს“.

ლევან იოსელიანი მიუთითებს, რომ ამ მხრივ, 2023 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები.

– 2023 წელს გაიმართა არაერთი შეკრება, აქცია თუ კონტრაქცია. სამწუხაროდ, შეკრების თავისუფლებაში ჩარევისას, რიგ შემთხვევებში, პოლიციელების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

მაგალითად, 2023 წლის 7-9 მარტს გამართული აქციის დაშლასა და სამართალდამცავების მხრიდან მთელი შეკრების ძალის გამოყენებით გაუმართლებელ შეწყვეტას, საფუძვლად დაედო შეკრების მონაწილეთა მხოლოდ ნაწილის მიერ დაწყებული ძალადობრივი ქმედებები, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, საჭიროებდა კონკრეტული მოძალადეების მიმართ ინდივიდუალური – აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებების გატარებას.

შეკრებებისა და აქციების დროს მონაწილეთა დაკავება, დღევანდელ კონსტიტუციურ წესრიგთან შეუთავსებელ, 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ეფუძნება.

სახალხო დამცველი წლებია საუბრობს ახალი კოდექსის შემუშავების აუცილებლობაზე, რადგანაც საბჭოთა პერიოდის მოქმედი კოდექსი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2023 წლის 2-3 ივნისს პოლიციის მხრიდან ამ მოძველებული კანონმდებლობის საფუძველზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დაკავების ფაქტები, რა დროსაც სახალხო დამცველის აპარატმა ხუთ საქმეზე სასამართლოში მეგობრის მოსაზრება წარადგინა.

სამწუხაროდ, ეს საქმეებიც ადასტურებს, რომ ხშირად გამოხატვის თავისუფლებასა თუ შეკრების უფლების რეალიზაციაში ჩარევა მხოლოდ პროტესტის გამოხატვისთვის შერჩეული სტილის გამო ხდება, რაც სრულიად ეწინააღმდეგება შესაბამის ადამიანის უფლების დაცვის სტანდარტებს.

ამ მხრივ, 2023 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები.



სახალხო დამცველის შეფასებით, წარმოდგენილი პროექტით სახეზე იყო გამოხატვის/შეკრების თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევა, რომელიც ზღუდავს აზრის გამოხატვას დროებითი კონსტრუქციების (მაგალითად, კარვის) გამოყენებით.

აღნიშნული ინიციატივა, ომბუდსმენის მიმართვის საფუძველზე ასევე უარყოფითად შეფასდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ.

აღნიშნული შეფასებით შეთავაზებული ცვლილებები შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო განსხვავებული პოლიტიკური აზრის დისკრიმინაციულად ჩასახშობად.

დასკვნაში უარყოფითად შეფასდა კანონპროექტის დაჩქარებულად მიღების წესიც“ – აღნიშნულია სახალხო დამცველის განცხადებაში.

ლევან იოსელიანი ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების საქმიანობისთვის შესაბამისი გარემოს არსებობა.

– აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზება, რასაც ძირითადად მოძველებული კანონმდებლობა აბრკოლებს, რომელიც ვერ პასუხობს ამ ეტაპზე არსებულ საჭიროებებს.

2023 წელს კვლავ გაგრძელდა უფლებადამცველთა საქმიანობისთვის დაბრკოლებების შექმნის ტენდენცია, რაც, წლების განმავლობაში, მათი დისკრედიტაციისა და სტიგმატიზაციისკენ მიმართული კამპანიების წარმოებაში გამოიხატებოდა. უფლებადამცველთა მდგომარეობის კუთხით, 2023 წელს განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ე.წ. უცხოელი აგენტების შესახებ კანონის პროექტების ინიცირება, რომლებიც არ შეესაბამებოდა გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სტანდარტებს, – აღნიშნულია განცხადებაში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბილაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი მილიციის მხრიდან სასტიკი ცემის შედეგად საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა“



პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი მილიციის მხრიდან სასტიკი ცემის შედეგად, საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის დაღუპვა რუსეთის მიერ ადამიანის უფლებების აშკარა დარღვევის ტრაგიკული შეხსენებაა.

– ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი მილიციის მხრიდან სასტიკი ცემის შედეგად საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, თემურ კარბაია დაიღუპა – ეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის ელემენტარული უფლებების აშკარა დარღვევის ტრაგიკული შეხსენებაა. მწუხარე 75 წლის იუბილე! – წერს პრეზიდენტი სოციალურ ქსელში.

გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებულ გალის რაიონში საქართველოს მოქალაქეს, თემურ კარბაიას, საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. მილიციის თანამშრომლებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს. კარბაია საავადმყოფოში გადაყვანისთანავე დაიღუპა.

# ნაციონალური მოძრაობა თბილისის ორგანიზაციის წევრებმა დატოვეს



ნაციონალური მოძრაობა თბილისის ორგანიზაციის წევრებმა დატოვეს. სამასამდე ადამიანმა ხაბეიშვილის გუნდთან მუშაობაზე უარი თქვა. პარტიის ახალ მენეჯმენტს ბოიკოტი გამოუცხადა საკრებულოს მოქმედმა დეპუტატმაც. წასულთა ნაწილი უკვე ადასტურებს, რომ შეუერთდებიან მელიას ახალ პარტიას.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნაციონალური მოძრაობის უკვე ყოფილმა წევრებმა მიმართეს მიხეილ სააკაშვილსაც. მათ მესამე პრეზიდენტს პირდაპირ უთხრეს, რომ ახალი მენეჯმენტი პარტიას დაღუპავს.

– მე არ ვიცი, ჩემო მეგობრებო, მოგმართავთ ახალ მენეჯმენტს, რა არის თქვენთვის ეს პარტია. შეიძლება ის არის მექანიზმი პარლამენტში მოხვედრის, მაგრამ ჩვენთვის ეს არის პოლიტიკური ოჯახი, სადაც მოვედით ღირებულებებით და იდეალებით დამუხტულები, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ჩვენს თავს მანდ ველარ ვხედავთ. გვიწევს, სამწუხაროდ, ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება და ჩვენ ვტოვებთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. ვდგამთ ნაბიჯს წინ, მომავალში, – ამბობს ბესიკ გაზდელიანი.

# კრემლი: „ვლადიმერ პუტინმა ბენიამინ ნეთანიაჰუს განუცხადა, რომ მისთვის ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება მიუღებელია“

– რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ზონაში არსებული მწვავე ვითარება განიხილა და დაადასტურა, რომ მისთვის მიუღებელია ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება, – ინფორმაციას რუსული მედია კრემლის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

– რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან სატელეფონო საუბარი გამართა. ყურადღება გამახვილდა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ზონაში არსებულ მწვავე ვითარებაზე და განსაკუთრებულად, ღაზის სექტორში არსებულ კატასტროფულ ჰუმანიტარულ ვითარებაზე ვლადიმერ პუტინმა დაადასტურა მისი პრინციპული პოზიცია ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინების მიუღებლობისა და დაგმობის შესახებ, – ნათქვამია კრემლის განცხადებაში.

# „ნაციონალების რეიტინგი მხოლოდ მიშას რეიტინგია“

## რამაზ საყვარელიძე: „მელია 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები არჩევნების შედეგებზე რა გავლენას იქონიებს?***

– თუ გულისხმობთ, როგორი შეიძლება იყოს პარლამენტის სტრუქტურა, გეტყვით, რომ ისევ მეორე ადგილზე გავა ნაცმოძრაობა.

***– სწორედ ამას ვგულისხმობ, დაირღვევა თუ არა ტრადიცია და ამ არჩევნებზე სხვა პარტიები ხომ არ დაწინაურდებიან?***

– სამწუხაროდ, არა. აქ გადამწყვეტი ფაქტორი ისევ სააკაშვილია. ვისთანაც იქნება სააკაშვილის სახელი დაკავშირებული, მას ექნება რეიტინგი. ამ პარტიის ამომრჩეველი ტრადიციულად სააკაშვილს აძლევს ხმას, მისი ერთგული ამომრჩეველია და არა – პარტიის. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

ნაციონალური მოძრაობა დღემდეც არაერთხელ გაყოფილა. ეს კარგად გამოცდილი პროცესია. ბევრი ლიდერი წავიდა პარტიიდან, მაგრამ მათ ბარიერიც კი ვერ გადალახეს არჩევნებზე. რატომ, სწორედ სააკაშვილის ფაქტორიდან გამომდინარე.

ანალოგიური მოლოდინი მაქვს მელიას შემთხვევაშიც. მელიამ დატოვა პარტია და ბევრიც გაიყოლა, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ არჩევნებზე ბარიერი გადალახოს. ცხადია, თუ მიხეილ სააკაშვილი არ წავა მასთან.

***– მსგავსი მოლოდინი გაქვთ?***

– არა, ასეთ რამეს არ ველოდები. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ნაციონალების რეიტინგი მხოლოდ მიშას რეიტინგია და სხვა არავისი.

***– ირაკლი კობახიძე ეჭვობს, რომ მიზანმიმართული პროცესია არჩევნებში წვრილი პარტიების დასაწინაურებლად.***

– კი, აქვს ასეთი ეჭვები ირაკლი კობახიძეს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ლოგიკა ვერ დავინახე ამ ეჭვში. პოლიტიკა სპორტული შეჯიბრი ხომ არ არის, რომ რინგზე გასულებიც გამარჯვებულები იყვნენ და ოქროსი თუ არა, ვერცხლის მედლით მაინც დაჯილდოვდნენ. პოლიტიკა მკაცრი და მკვეთრად სტრუქტურირებული სპორტია, თუ შეიძლება ასე ითქვას. შეჯიბრია, მაგრამ აქ მხოლოდ გამარჯვებული ჯილდოვდება. მეორე საპრიზო ადგილი არ არსებობს. წვრილ-წვრილი პარტიები თუ მეორე ადგილზე გავლენ და რა მერე, ამით რა შეიცვლება?! არც არაფერი.

***– კობახიძეს ტყუილად აქვს შიშები?***

– უბრალოდ, ლოგიკას ვერ ვხედავ. ძალიან მცირე ხმებით პარლამენტში რა უნდა გააკეთო, ვერანაირ გავლენას ვერაფერზე ვერ მოახდენ. პარლამენტში გადაწყვეტილებაზე გავლენაა მთავარი. გადაწყვეტილება კი მხოლოდ ხმათა უმრავლესობითაა შესაძლებელი. ძალიან მარტივია.

***– თქვენ ამბობთ, რომ 2024 წელს მთავრობას ისევ „ქართული ოცნება“ დააკომპლექტებს?***

– დიახ. თუ არაფერი ცვლილება არ მოხდება და არა მგონია, რამე სერიოზული მოხდეს. ასეთი სერიოზული რამე ერთ და ორ დღეში არ ხდება. მაშინ არაფერი არ შეიცვლება და ისევ „ოცნება“ გაიმარჯვებს. სიმართლე გითხრათ, მოლოდინი მაქვს, არათუ უბრალო უმრავლესობას აიღებს, საკონსტიტუციო უმრავლესობასაც მოიპოვებს „ოცნება“.



***– 100 ან მეტი დეპუტატი შეიძლება ჰყავდეთ?***

– არ გამოვრიცხავ. მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია. ეს არ არის კარგი ქვეყნისთვის. ეს ცუდი სურათია, მრავალფეროვანი უნდა იყოს პარლამენტი. ბევრი მოქალაქის ინტერესი უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგრამ, როდესაც ამომრჩეველი ალტერნატივას ვერ ხედავს, ის არჩევანს არსებულის სასარგებლოდ აკეთებს.

***– გამორიცხავთ, რამე შეიცვალოს, რამე მოხდეს ისეთი, რომელიც ამ სურათს შეცვლის?***

– პოლიტიკაში ვულკანის ამოფრქვევა ისე არ ხდება, ამისთვის გარკვეული წინაპირობებია საჭირო, რასაც ახლა ვერ ვხედავ. ძირითადად იმ სოციოლოგიური კვლევების შესაბამისია ვითარება, რომლის არავის არ სჯერა საქართველოში.

„ოცნება“ მოულოდნელად რამეს თუ შესთავაზებს საზოგადოებას და ეს „რამე“ მისი ალტერნატივა იქნება, არ ვიცი. არ მგონია, ეს რეალობასთან ახლოს იყოს. ალბათ მოვლენები ისე განვითარდება, როგორც სოციოლოგიურ კვლევებში ჩანს. ამ კვლევებში საზოგადოებრივი განწყობები იგრძნობა.

# „ადამიანის უფლებების მდგომარეობა ქვეყნისთვის ისევ აქილევსის ქუსლია“

## გიორგი თევზაძე: „საბანკო პოლიტიკის გადახედვაა მნიშვნელოვანი. ბანკი მარტო დადგენილ მაღალ საპროცენტო განაკვეთზე არ უნდა ზრუნავდეს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი გიორგი თევზაძე პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, 10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. როგორ აფასებთ 2023 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას?***

– ყურადღებას გავამახვილებ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც, სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებელია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იძულებულია, სამუშაოს საძებრად, შედარებით მაღალი ანაზღაურების იმედით, საქართველოს ფარგლებს გარეთ სამუშაოდ წავიდეს.

სახელმწიფოს ვალდებულებაა, თითოეული მოქალაქის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს. უბრალო მოქალაქეებისთვის რეგიონებში სამუშაო ადგილები შექმნას, განახორციელოს მნიშვნელოვანი პროგრამები, რომ ადამიანები სოფელს დაუბრუნდნენ და სავაჭრო ქსელებში მწვანილიც უცხოეთიდან შემოტანილი არ დაიდოს.

მნიშვნელოვანია საბანკო პოლიტიკის გადახედვა. ბანკი მარტო დადგენილ მაღალ საპროცენტო განაკვეთზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ მოსახლეობისთვის სესხის ხელმისაწვდომობაზეც, რაც გამოიხატება სესხებზე დაბალი პროცენტის შემოღებასა და შესაბამისი შეღავათიანი პაკეტების დანერგვაში.

***– ქვეყანა ოკუპაციის პირობებში ცხოვრობს. ეს ბევრ რამეს ხელს უშლის. ამ კუთხით რას იტყვით?***

– დიახ, დღემდე საკუთარ სამშობლოში სამასი ათასზე მეტი ქართველი იძულებით გადაადგილებული პირია. ოკუპანტ რუსეთს ოკუპირებული აქვს ძირძველი ქართული რეგიონები აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, სამაჩაბლო. ოკუპირებულ რეგიონებში თავისი მარიონეტული სეპარატისტული მმართველები ჰყავს.

დღემდე ოკუპანტი რუსეთი ქართული ტერიტორიის უკანონო მიტაცებას განაგრძობს, აბამს მავთულხლართებს, რაც რუსეთის საოკუპაციო ბუნებას კარგად წარმოაჩენს.

ოკუპირებულ რეგიონებში იდევნება ქართული ენა, იდევნებიან ეთნიკური ქართველები. ბოლო დროს რუსი ოკუპანტები ისევ გათავხედდნენ. ოკუპანტები სისტემატიურად გადმოდიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, იტაცებენ ეთნიკურ ქართველებს და გადაჰყავთ ცხინვალის იზოლატორში, რამაც საუკუნეების წინ ფეხმოკიდებული ლეკიანობა გაგვახსენა.

***– ამ კონტექსტში საერთაშორისო ორგანიზაციების როლს როგორ აფასებთ?***



– საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთი მანდატის ფარგლებში მხოლოდ დაკვირვებით და შეშფოთებით შემოიფარგლებიან. როგორც იცით, ამა წლის 6 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან რუსმა ოკუპანტმა სამხედროებმა ცეცხლსასროლი იარაღით საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური მოკლეს. საქართველოს ერთი მოქალაქე კი გაიტაცეს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსი ოკუპანტების მიერ ჩაკეტილი ქართული ტაძრის კარი გააღეს.

***– დიახ, სამწუხარო რეალობაა.***

– საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნის მიუხედავად, გინტურის მკვლელობაში დამნაშავე პირები დღემდე დაკავებული და დასჯილი არ არიან, რაც ოკუპანტებს დაუსჯელობას აჩვევს. ალბათ, საქართველოს ხელისუფლებას უფრო მეტად პრინციპული მიდგომა მართებს. ასე რომ, სამწუხაროდ, ადამიანის უფლებების მდგომარეობა ქვეყნისთვის ისევ აქილევსის ქუსლია.

***– ქვეყნის განვითარებისათვის რა მნიშვნელოვანი კანონის მიღება მიგაჩნიათ საჭიროდ?***

– საერთოდ, კანონმდებლობა ზოგიერთი მიმართულებით, გარკვეულწილად, დასახვეწია, თუმცა, ეს ძალიან დიდი თემაა და დაკონკრეტებას მოითხოვს.

***– რას გულისხმობთ?***

– თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, რომლებიც მომავალზე ფიქრობდნენ, მიიღეს კანონი ლუსტრაციის შესახებ, რაც ქვეყნის დემოკრატიული და ჯანსაღი განვითარებისათვის აუცილებელია.

***– ლუსტრაციის კანონის მიღება დღეს არავის ახსოვს. ისე, კარგი იქნებოდა, დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრის ლუსტრირება.***

– საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღება დღემდე ჭიანურდება. არადა, მის მიღებას მარტო ხელისუფლების და მმართველი პოლიტიკური ძალის პოლიტიკური ნება სჭირდება, საუბარი არ უნდა იყოს იმ პირების მიმართ სადამსჯელო ღონისძიების განხორციელებაზე, რომლებსაც შეიძლება, ეს კანონი შეეხოთ. უბრალოდ, ისინი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას უნდა ჩამოსცილდნენ.

***– თქვენ საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარე და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სოციალური პროფესიული პასუხისმგებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანდებით. საქართველოში ადვოკატის უფლებები რამდენად დაცულია?***

– ადვოკატთა უფლებების დაცვაზე ჩვენი დამოუკიდებელი პროფკავშირი აქტიურად მუშაობს. მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტი, რომელსაც პარლამენტს ვუგზავნით.

***– პარლამენტი ადვოკატების შეთავაზებული საკანონმდებლო პაკეტებით დაინტერესდება?***

– ადვოკატები ვიმედოვნებთ, პარლამენტი დაინტერესდება და მხარს დაუჭერს ჩვენს საკანონმდებლო ინიციატივებს, რადგან სამართლებრივი სახელმწიფო სამართლიან მართლმსაჯულებას და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფას ეფუძნება.

***– კონკრეტულად, რას მოითხოვთ?***

– უმთავრესია სახელმწიფომ უზრუნველყოს მართლმსაჯულების მხარეთა სოციალური და პროფესიული უფლებები.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი დაზარალებულის მხარემ შეურაცხყოფა მიაყენა ბრალდებულის ადვოკატს, ასეთი შემთხვევები ხშირია?***

– დიახ, არსებობს ადვოკატების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. ასეთი ფაქტები უდავოდ ალმაშფოთებელია და შესაბამისი უწყებების მხრიდან მყისიერი რეაგირება სჭირდება. სხვა შემთხვევაში დაუსჯელობის განცდა გაჩნდება.

ადვოკატებს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები ემუქრებიან. მაგალითად, მსგავსი ქმედება ბოლო დროს ადვოკატ ანა ჟღენტის მიმართ განხორციელდა სასამართლოს პროცესის შემდეგ. ამის გამო საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელმა პროფკავშირმა სოციალური ქსელით მიმართა შესაბამის სტრუქტურებს, მყისიერად შეისწავლოს აღნიშნული საგანგაშო ფაქტი, დამნაშავე პირები დაადგინოს და პასუხისგებაში მისცეს.

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობამაც ფაქტზე მყისიერი რეაგირება მოახდინა, ასეთ ფაქტებს რეაგირების გარეშე არ ტოვებს. თუ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, ნებისმიერმა პირმა, რომელიც ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელს შეუშლის, თავის ქმედებაზე პასუხი უნდა აგოს. თუ ვინმე ადვოკატს დაემუქრება ან ნებისმიერი სახის შეურაცხყოფას მიაყენებს, სახელმწიფომ დაუსჯელი არ უნდა დატოვოს.

ყველა მხარის ვალდებულებაა, იზრუნოს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და სამართლიანი მართლმსაჯულების განვითარებაზე, რაც საქართველოს მიმართ ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს.

2023, 11 დეკემბერი, №243

# რღვევა ნაციონალურ მოძრაობაში

მარიამ მჭედლიშვილი

## სიტუაცია ევროინტეგრაციის გარშემო

რწმენა იმის გამო, რომ საქართველოს 14-15 დეკემბერს ოფიციალურად მოენიჭება ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი, წინა კვირაში ცოტა შეირყა. ეჭვების გაფანტვას მმართველი გუნდის წევრები ცდილობდნენ. ისინი გამოთქვამდნენ იმედს, რომ საქართველოს საკითხი სხვა საკითხებს არ მიებმება და უნგრეთის პროტესტი უკრაინისადმი საქართველოზე არ იმოქმედებს.

საზოგადოებამ თავისი ხმა ევროპას 9 დეკემბერს თბილისში გამართული „ევროპული მარშითაც" მიაწვდინა.

– საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას უნგრეთის ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მყარი მხარდაჭერა აქვს. 14-15 დეკემბერს კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე პოზიცია არის ურყევი, – განაცხადა უნგრეთში ჩასულმა „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ.

უნგრეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ დავას არც იწვევდა. საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველო განიხილება ერთიან პაკეტში უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, უნგრეთი კი მოითხოვს უკრაინის საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას. ამან საქართველოში შფოთვა გამოიწვია.

ანალიტიკოსების შეფასებით, ორბანის პოზიცია უკავშირდება საკუთარ საკითხებზე ვაჭრობას ევროკავშირის ლიდერებთან, ასევე მის კავშირს კრემლთან.

ცნობილია, რომ ინტეგრაციისთვის საქართველომ უნდა შეასრულოს 9 ევროკომისიის პირობა.

ნოემბრის ბოლოს გაიმართა უწყებათაშორისი კომისიის სხდომა, რომელმაც შეადგინა სამოქმედო გეგმა მათ შესასრულებლად. გეგმა ევროკომისიას გაეგზავნა. დავის საგნად რჩება გეგმის შესასრულებელ სამუშაო ჯგუფებში ოპოზიციის მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი. ცნობილია, რომ ოპოზიციის ნაწილმა სამუშაო ჯგუფებს ბოიკოტი გამოუცხადეს.



– ის საბოტაჟი, რაც რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოუცხადეს სამუშაო ჯგუფებს, გაგრძელდება. ეს სტრატეგია არ იცვლება და მიზეზი არ გამოელევათ, – ასეთი აზრი გამოთქვა ვიცე-სპიკერმა „ქართული ოცნებიდან" გიორგი ვოლსკიმ.

მისი შეფასებით, ოპოზიცია გამწარებულია იმის გამო, რომ საქართველო სტატუსს იღებს:

– ძალიან სერიოზული ისტერიკა გამოიწვია ამ სტატუსის საქართველოსთვის მინიჭებამ, იმიტომ, რომ ჩაეშალათ გეგმა. ამ გეგმით, კანდიდატის სტატუსის მიუღებლობის გამო დესტაბილიზაცია, რევოლუციური პროცესი უნდა განვითარებულიყო.

– ვგეგმავთ, რომ 9 ნაბიჯი შევასრულოთ მომდევნო წლის განმავლობაში. დიდი იმედი გვაქვს, რომ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში შევძლებთ ევროკავშირიდან თანხმობა მივიღოთ და შემდეგ ეტაპზე გადავიდეთ – გაიხსნას ჩვენთან მოლაპარაკებები, – აღნიშნა საგარეო კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სამხარაძემ.

მისივე სიტყვებით, „ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები დადიოდნენ და ითხოვდნენ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ მოეცათ კანდიდატის სტატუსი." სამხარაძის ვარაუდით, ამგვარი მცდელობები ოპოზიციას კიდევ ექნება.

– ნაციონალური მოძრაობა სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობას მიიღებს, თუ დაინახავს, რომ ევროპული საქმე კეთდება და ხელისუფლებას ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულება რეალურად სურს, – განაცხადა ნაცმოძრაობის წევრმა დავით ხაჯიშვილმა.

„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი პაატა მანჯგალაძე რეკომენდაციებს მიესალმება. მას იმედი არა აქვს, რომ „ქართული ოცნება" მათ შეასრულებს.

– დამშვიდებული ვერ ვიქნებით. „ქართულ ოცნებას" რომ ნდომოდეს, ახლა ჩვენ 12 რეკომენდაცია შესრულებული გვექნებოდა. სამუშაო დღის წესრიგი არ ვიცით, – ამბობს მანჯგალაძე.

ის დარწმუნებულია, რომ მმართველი გუნდი არ მოახდენს დეოლიგარქიზაციას, არ იტყვის უარს ანტიდასავლურ რიტორიკაზე და არ გაითვალისწინებს სხვა რეკომენდაციებს.

• • •

## ნიკა მელია ახალ პარტიას აფუძნებს

10-თვიანი უთანხმოება ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში წინა კვირაში ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა. ნიკა მელიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ტოვებს. მანამდე იყო ნაცმოძრაობის დატოვების კასკადი საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში.



აჭარაში ნაციონალური მოძრაობიდან გამოვიდნენ გიორგი კირთაძე, მირდატ ქამადაძე და საკრებულოს 7 დეპუტატი.

გიორგი კირთაძემ გამოაცხადა, რომ პარტიიდან გასულები სხვა პლატფორმიდან აგრძელებენ ბრძოლას „ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის ხელისუფლებისგან ჩამოსაცილებლად" და „პოლიტიკური მართლმსაჯულების დასრულებისათვის".

ამის შემდეგ გაირკვა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ტოვებენ ზუგდიდელი ნაციონალები. პარტია დატოვა 17-მა პირმა. აქედან 14 ზუგდიდის საკრებულოს წევრია.

ბათუმელმა პარტიიდან გასულმა პოლიტიკოსებმა განაცხადეს, რომ თუ ნიკა მელია პარტიას დააფუძნებს, ისინი მას შეუერთდებიან.

ბათუმელებს და ზუგდიდელებს ხობელები მიჰყვნენ და ნაციონალური მოძრაობა მათაც დატოვეს. ასევე მოიქცნენ კასპის, ასევე კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

ნიკა მელიამ აღნიშნა, რომ პარტიას აფუძნებს:

– ვაფუძნებ ჩემს პარტიას და ეს პარტია გააკეთებს ძალიან ბევრს ქართული დემოკრატიისთვის.

ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს „შიდა დაპირისპირება" უწოდა მმართველი პარტიის გენმდივანმა, თბილისის მერმა, კახა კალაძემ.

– მიმდინარეობს ბრძოლა სკამებისთვის. გვახსოვს მათი მმართველობა, რაც სამაგალითოა, როგორი არ უნდა იყოს ხელისუფალი. დღეს ოპოზიციაში არიან და საჩვენებლები არიან, როგორი არ უნდა იყოს ოპოზიციის წარმომადგენელი, – აღნიშნა კალაძემ.

ნაციონალურ მოძრაობაში დარჩენილები ირწმუნებოდნენ, რომ ახლანდელი ამბები პარტიას ვერაფერს დააკლებს, ვინაიდან ამგვარი რამ ადრეც გადაუტანიათ.

– შეუძლებელია საქართველოში პოლიტიკური გასაქანი ჰქონდეს პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც დაფუძნებულია ძალადობაზე, წამების სისტემის შექმნაზე, კორუფციაზე, – ასე გამოეხმაურა ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.

იმ დროს, როცა წევრები პარტიას ტოვებდნენ, ნაცმოძრაობის ახლანდელი ხელმძღვანელობა აშშ-ში იმყოფებოდა. პარტიის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური პარტიების ფორუმში და გამართა შეხვედრები.

პარლამენტის ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, თინა ბოკუჩავას განმარტებით, პარტია ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზაციას მომავალი არჩევნების წინ.

– ყველას ძალიან კარგად ესმის, რომ ძალიან მალე საქართველოში იქნება გეოპოლიტიკური არჩევნები, სადაც საქართველომ უნდა აირჩიოს ევროპული, დემოკრატიული, კოალიციური ხელისუფლება, – აღნიშნა ბოკუჩავამ.

• • •

## „გაზრდილი ეკონომიკა 20-25 ოჯახის კეთილდღეობას ხმარდება"

გასულ კვირაში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე სკანდალური განცხადება გააკეთა ექსპრემიერმა, პარტია „საქართველოსთვის" ლიდერმა, გიორგი გახარიამ.

გახარიამ აღნიშნა:

– აცხადებენ, რომ ქვეყანაში ეკონომიკა იზრდება. დიახ, მართლაც, იზრდება, მაგრამ ეს გაზრდილი ეკონომიკა 20-25 ოჯახის კეთილდღეობას ხმარდება... ვიღაც ძალიან მდიდრდება, ვიღაც კი ქვეყნიდან გარბის.

მისი თქმით, „ყველას ყველაფერი მოეკითხება". საკუთარ თავზე მან განაცხადა, რომ სახლში არაფერი წაუღია.

სამ დღეში თავიანთი ლიდერის განცხადება დააკონკრეტეს მისი პარტიის წევრებმა. მათ გამოამზეურეს რამდენიმე გავლენიანი პირის ვინაობა, რომელიც, მათი თქმით, მდიდრდება. ესენი არიან: ღარიბაშვილი, კობახიძე, კალაძე, მურუსიძე, ფარცხალაძე, ასევე ავიაკომპანია „ჯორიან ეარვეისის" დამფუძნებელი თამაზ გაიაშვილი.

პარტიის წევრებმა მოითხოვეს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა კორუფციული საკითხების გამოსაკვლევად.

გაიაშვილმა გახარიასა და მისი გარემოცვის ბრალდებებს ცილისწამება უწოდა და გაიხსენა გახარიასთან დაკავშირებული შემთხვევა. თამაზ გაიაშვილის თქმით, გახარიამ შს მინისტრობის დროს ჩაიდინა დანაშაული, როცა „პუმას" ტიპის სასაზღვრო ვერტმფრენს საერთაშორისო დაზღვევის გარეშე მისცა ფრენების განხორციელების უფლება. ეს ვერტმფრენი ყვარლის მთებში დაიმსხვრა.

გაიაშვილს ვალში არც პარტია „საქართველოსთვის" დარჩა. სხვა პრეტენზიებთან ერთად გახარიას გუნდის წევრებმა ავიაციის წარმომადგენელს გაუხსენეს პანდემიის პერიოდი. მათი თქმით, გაიაშვილმა დიდი კოვიდით ისარგებლა და მის ბილეთებს სამმაგ და ოთხმაგ ფასებში ასაღებდა.

ეკონომიკის მინისტრის, ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, ოქტომბრის ეკონომიკურმა ზრდამ, წინასწარი შეფასებით, 6,2% შეადგინა, ზოლო 10 თვის საშუალო ეკონომიკური ზრდა 6,9%-ია.

გახარიას განცხადება შეაფასეს მმართველ გუნდში. ვიცე-სპიკერ გიორგი ვოლსკისათვის გახარიას ნათქვამი აბსურდულიცაა და არაეთიკურიც.

– გამორიცხულია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ფორმაციაში 20-25, თუნდაც, 50 ოჯახი განაგებდეს სიტუაციას. მინიმუმ, ყველამ იცის, რომ ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია უპრეცედენტოდ დიდი სოციალური პაკეტის შექმნა, – აღნიშნა ვოლსკიმ.

ვიცე-სპიკერის თქმით, „როცა ერთ გუნდს განუდგები და უღალატებ პრინციპებს, რომელმაც ეს გუნდი და გახარია გააერთიანა, შეგიძლია ხელი მოაწერო ნებისმიერ სიბინძურეზე".

• • •

## „ფარცხალაძე „ქართული ოცნების" სახე გახდა"

წინა კვირაში საქართველოში გამოჩნდა ყოფილი გენპროკურორი, რუსეთის მოქალაქე ოთარ ფარცხალაძე. შეგახსენებთ, რომ მას აშშ-მ სანქციები დაუწესა. აშშ-ის სახდეპის განმარტებით, ოთარ ფარცხალაძე სანქცირებულია „საქართველოზე რუსეთის მანკიერი ზეგავლენის საპასუხოდ". აშშ-ს აქვს მონაცემები მის კავშირზე რუსეთის „ფსბ"-სთან და ინფორმაცია, რომ ფარცხალაძე ცდილობდა მოეხდინა რუსეთის სასარგებლო გავლენა საქართველოს პოლიტიკასა და საზოგადოებაზე.



საქართველოში ფარცხალაძეს საერთაშორისო სანქციები არ შეხებია. ეს დასაბუთდა იმით, რომ საქართველოს მოქალაქეზე არ შეიძლება გავრცელდეს სანქციები, თუ საქართველოს სასამართლოში მის მიმართ არ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. მოგვიანებით ფარცხალაძეს ჩამოერთვა საქართველოს მოქალაქეობა.

ფარცხალაძის საქართველოში ამჟამინდელ ჩამოსვლას მშვიდად შეხვდნენ მმართველი გუნდის წარმომადგენლები. არჩილ თალაკვაძის თქმით, ამაში „სკანდალური არაფერი არ არის".

– ფარცხალაძე გახდა „ქართული ოცნების" სახე, – ასეთი აზრი გამოთქვა რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, ხათუნა სამნიძემ.

მისი თქმით, „გამოცხადებულია, რომ ის რუსეთის ინტერესებს ატარებდა ამ ქვეყანაში და შეუძლებელია, რომ მათ არ იცოდნენ, რა საქმიანობას ეწეოდა ფარცხალაძე".

• • •

## თამაზ გინტურის თემა ჟენევის მოლაპარაკებებზე

გასულ კვირაში გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი, 59-ე რაუნდი. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს თამაზ გინტურის მკვლელობაზე.

შეგახსენებთ, რომ ომის ვეტერანი, 58 წლის თამაზ გინტური გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალის მიმდებარედ რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 6 ნოემბერს მოკლეს. მათვე გაიტაცეს მასთან ერთად მყოფი ლევან დოთიაშვილი, რომელიც 3 დღის შემდეგ გათავისუფლდა. ამ საკითხზე რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმა.



– ჟენევის მოლაპარაკებების უმეტესი ნაწილი ეხებოდა თამაზ გინტურის საკითხს. ყველა მონაწილემ უნდა იფიქროს, რომ შეიქმნას ატმოსფერო, სადაც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრებ ადამიანებს არ შეეშინდეთ წასვლა ეკლესიაში, სასაფლაოებზე, რომ შეიძლება ამის გამო დააკავონ, ან მოკლან, – განაცხადა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა, მოლაპარაკებების მონაწილე ტოივო კლაარმა.

საქართველოს მოქალაქეებისთვის უსაფრთხო მდგომარეობა ჯერ არ შექნილა და ოკუპანტების აგრესიას ისინი ისევ ეწირებიან.

# სანდრო რაქვიაშვილი: „კანონმდებლობაში ჩადებულია ნაღმი, რომელიც ხელს უშლის პატარა პარტიების გაერთიანებას"



– კანონმდებლობაში ჩადებულია ნაღმი, რომელიც ხელს უშლის პატარა პარტიების გაერთიანებას, გვინდა დაფინანსება ბარიერს მიებას, – ამის შესახებ „გირჩის" დეპუტატმა სანდრო რაქვიაშვილმა განაცხადა.

რაქვიაშვილის განცხადებით, მცირე პარტიებს არ აქვთ სურვილი სხვებთან გაერთიანების, რადგან, იმის მიუხედავად, გადალახავენ თუ არა ბარიერს, არსებული კანონმდებლობა საშუალებას აძლევთ, რომ თუ 1 პროცენტს მაინც მიიღებენ, ბიუჯეტიდან სოლიდური თანხით დაფინანსდნენ.

– ჩვენ გვაქვს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეხება პარტიების დაფინანსებას. „ქართული ოცნების" პირობებში მოწყობილია არჩევნების ლეგალური გაყალბების სისტემა, ეს, პირველ რიგში, ეხება, რა თქმა უნდა, მაღალ ბარიერს, რომლის გამოც ბევრი ხმა დაიკარგება და გადანაწილდება მათ შორის „ქართული ოცნების" სასარგებლოდ. გარდა ამისა, კანონმდებლობაში ჩადებულია ნაღმი, რომელიც ხელს უშლის პატარა პარტიების გაერთიანებას. ეს არის პარტიების დაფინანსება, რომელიც იწყება 1 პროცენტიდან იმ პირობებში, როცა ბარიერი გვაქვს 5 პროცენტი.

როცა პატარა პარტიას სთავაზობენ გაერთიანებას, მას არა მარტო ადგილი უნდა შესთავაზონ, არამედ ბევრი ფული, 1 პროცენტზე უნდა შესთავაზონ მილიონზე მეტი, რაც ხელს უშლის დიდ პარტიებს, რომ წინასაარჩევნო კამპანია წარმართონ, რადგან პარტიებს მილიონი უნდა დაურიგონ იმ მომენტში, როცა ფული ყველაზე მეტად სჭირდებათ. რაც მთავარია, პატარა პარტიებს თავად არ აქვთ სურვილი ჩამოეკიდონ ვიღაც სხვას, როცა იციან, რომ შეიძლება წარმატებას ვერ მიაღწიონ და ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობა ვერ მიიღონ, მაგრამ მილიონი და შეიძლება 2 მილიონიც კი ჰქონდეთ საბოლოო ჯამში ბიუჯეტიდან.

ჩვენ გვინდა ეს წესი გავაუქმოთ და დაფინანსება მიბმული იყოს ბარიერზე. თუ მმართველ გუნდს და ზოგადად პოლიტიკურ კლასს სურს, რომ პატარა პარტიები ჩაბმულნი იყვნენ პროცესში, დავწიოთ ბარიერი, დაფინანსებაც ამ ბარიერზე მივაბათ და ყველაფერი იქნება ლოგიკური. თუ ბარიერი მაღალია და ისეთ წესრიგს ვაწყობთ, რომ დიდი პარტიები მართავდნენ ქვეყანას, არანაირი დაფინანსება პატარა პარტიებს, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს, არ ეკუთვნით. იმედია, მხარს დაგვიჭერს არა მარტო ოპოზიცია, არამედ არასამთავრობო სექტორი, – განაცხადა რაქვიაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დოდო გუგეშაშვილი: „არ მასვენებს სეპარატისტების „შეჯანჯღარების“ სურვილი“

**ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც აფხაზეთის ომის მოვლენებს იხსენებს. ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში“ დაიბეჭდა.**



**დოდო გუგეშაშვილი:**

– ზემო ლათაში, სადაც ჩვენი პოზიციებია, ტყეში თოვლიან საფარში ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტილი გვაქვს. უფრო გრძელი და ღრმა ორმო სანგრის მაგივრობას გვიწევს. „სანგარში“ ცელოფანში გახვეული მოკლე მორები გვიწყვია, ზემოდან „ტოლი“ გვაფარია ხის ტოტებით შენიღბული. ასეთ „იდილიაში“ 12 საათიანი მორიგეობით ვენაცვლებით ერთმანეთს. ყინვის ნატეხებად იფრქვევა ჩვენი ამონასუნთქი ჰაერი. ლურჯი ტუჩებით და ცხვირის წვერით კარიკატურებს ვგავართ.

აფხაზეთში მიღებული ჭრილობები დიდი ხანია საგრძნობლად მაწუხებს. არ ვიმჩნევ. ცოტას კი მაშფოთებს ფერშეცვლილი ფეხი, მაგრამ სამომავლოდ ვგეგმავ მკურნალობას და ყუმბარის ნამსხვრევების „ბუდეებიდან“ პანტა-პუნტით ამოყრას.

ღამის სიბნელესთან ერთად შემოიკლაკნენ სეპარატისტები. ტყვიების ცეცხლით ისე გაანათეს იქაურობა, ლამისაა, მათი ბოროტი თვალების ფერიც გავარჩიოთ. იმავდროულად ადგილობრივი ბიჭების პოზიციებსაც დაარტყეს. ჯერ მხოლოდ ავტომატიდან ვუგზავნით ეშმაკის სახიან სიკვდილს სეპარატისტებს. მოგვიანებით საამოდ აყეფდა ჩვენი ტყვიამფრქვევი. დამფრთხალი ნახირივით იხევენ მომხდურები უკან. ტყეში ვიფანტებით. ფეხდაფეხ მივდევთ. ვცდილობთ, მოწინააღმდეგე მხედველობიდან არ დავკარგოთ. დიდხანს გრძელდება დევნა. მოწინააღმდეგე არა, მაგრამ მე და ბიჭები კი ვკარგავთ ერთმანეთს.

საძილე არტერიასთან გამკრა და დამწვა რაღაცამ. ჩემს წინ მოძრავ თავს ვხედავ. მიზანში ვიღებ. მერე გახურებული ხელისგულით მადლიერად ვეფერები ჩემს ავტომატს. როცა დევნა მთავრდება, ისევ ვიკრიბებით ერთად მე და ბიჭები. ჩემი ქურთუკის ტყვიით გახვრეტილ საყელოს უსიტყვოდ ვათვალიერებთ. იმ დღეს ჩვენი „ნადავლი“, „ბაგრამიანის ბატალიონის“ სომხები და კაზაკები ალმოჩნდნენ. გვამებს საბუთები თან ჰქონდათ.

***– ხეობაში აუცილებელი პროდუქტებით მომარაგების საკითხი როგორ იდგა?***

– ჩამოგვდიოდა ფქვილი, კონსერვები, უფილტრო სიგარეტი. ადგილობრივები ხორცს, ყველს გვინაწილებენ. ერთხელ რომელიღაც უცხოური ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი პროდუქტი ჩამოგვიტანეს კოდორის (დალის) ხეობაში. წყალგაუმტარ პაკეტებში შეფუთული ლობიო, ხელისგულის ოდენა პურის მაგვარი ცომეული და ჟელატინის კანფეტის მარცვლები. გახსნილი და გაუხსნელი ყუთების გროვა დადგა. „სანოვაგეს“ გემო, სუნი და ფერი არ ჰქონდა.

– პაკეტზე ქართულად დააწერე შიგთავსის დასახელება, იქნებ ვინმე „შეკერო“, – ხუმრობს ჯაბა იოსელიანი.

„მხედრიონელების“ და ადგილობრივების ერთიანი ოპერაციების შედეგად, რამდენიმე სიმაღლეს ვიბრუნებთ. ცხენს, რომელსაც შეიარაღების „მთა“ მოაქვს, ფეხი ჩაუცდა ხრაში. ახლა ეს გონიერი, ფეხმოტეხილი ცხოველი უკვე ზედმეტი ბარგია. ვერც დავტოვებთ ტყის ნადირის კერძად. ცრემლიან თვალებზე ვეფერები, ტკივილისგან აცახცახებულ სხეულს ხელისგულებით ვუამებ. თოვლში ამოხეთქილი, ველური შავი ტიტების გვირგვინს ვწნავ. ფრთხილად ვუმოსავ ლამაზ თავს. თვალს არ მაცილებს შავ გვირგვინოსანი. შაქრის ნატეხებს ვაწვდი ხელით. გაბუტულივით თავს გვერდზე წევს.

ფეხებათრეული უკანმოუხედავად მივდივარ. გასროლის ხმა მესმის. თითქოს ბეჭებს შორის გამიარა ტყვიამ. მეწევიან ბიჭები. სახეში არ ვუყურებ, ვიცი გამომეტყველებაზე მივუხვდები, თუ რომელმა ესროლა. მდუმარედ მივაბიჯებთ. ფიქრებით და ცხენიდან მოხსნილი შეიარაღებით დამძიმებულნი.

არ ვიცით, როდის და რომელი შევდგებით შემოპარული სეპარატისტებისგან „საჩუქრად“ დატოვებულ ნაღმებზე. არც თუ იშვიათად მათ მიერ მიტაცებული, ძირძველი ქართული ტერიტორიებიდან ჩვენ მიერ ბოძებული „ამანათების“ გრიალი ელამუნება ყურს.

***– ხეობის სომხური მოსახლეობის მეგობრული დამოკიდებულება სეპარატისტების მიმართ ცნობილია. რაიმეს ხომ არ გაიხსენებთ?***

– უკვე 1994 წელია. სარვამარტოდ, ზოია პაკელიანის დაბადების დღისთვის, ავთო პაკელიანი და ბიჭები გაღმა ლათაში, „კონწიალა ხიდით“ გადავიდნენ. სოფლის ორღობეში, სანოვაგით სავსე ფუთები აქვთ გამზადებული ადგილობრივ სომხებს და რამდენიმე ვაიქართველს სეპარატისტებისთვის. პირკატა ეცათ ბიჭების დანახვაზე ეშმაკისთვის სულმიყიდულებს. თაფლი ითხოვეს ბიჭებმა, უარი მიიღეს. ახლა არაყს სთხოვენ შეკრებილ სოფლელებს, ფულის სანაცვლოდ. ისევ ცივი უარი. თვალი შეასწრო ავთომ, გატიკნულ ფუთაში 10-ლიტრიანი ჭურჭელი დევს, არყით სავსე.

„ტყემალი მეგონა“, – დაბნეულია ასაკოვანი კაცი. ჯაგარაშლილი, შავი, ტყის ღორი მონადირეს ბიჭებმა. „გულუხვი მასპინძლებისგან“ წამოღებული 10-ლიტრიანი მიაყოლეს თან.

როცა ლათა დაიკარგა, მიწაში ჩამარხული „ბიდონებით“, ტონობით თაფლი ამოიღეს სეპარატისტებმა.

არ მასვენებს ოჩამჩირეში დაბუდებული სეპარატისტების „შეჯანჯღარების“ სურვილი. ოპერაციას ვგეგმავ ჩემს ბიჭებთან ერთად: ბაგადიდან ნააზე უნდა გადავიდეთ, მერე განახლებაში შევიპარებით მდინარე კოდორით, ატარა არმიანსკაიას გავლით, კვიტოული-ტამიში-ცაგერით, ოჩამჩირეს დავარტყამთ. მარშრუტი გრძელი და უმძიმესი იქნება. ჯაბა იოსელიანს და გია ვაშაკიძეს აუცილებელი შტრიხები შეაქვთ ჩემს გეგმაში. მზადებას ვიწყებთ. გია პარალელურად, შეიარაღებას ამატებს სიმაღლეებზე. ბატონი ჯაბა ყველაზე გამოცდილ გამნაღმველს („საპიორს“) ეძებს ჩვენთვის (მთავარ სიძნელედ, სეპარატისტების მიერ უხვად ჩაწყობილი ნაღმები გვესახება ოპერაციის განხორციელებაში); მაინც გამნაღმველის გარეშე გვიწევს გასვლა, შტირების იმედად.

ბაგადაზე ზემოდან გადავდივართ სეპარატისტების პოსტების გვერდის ავლით. რამდენიმე საათის მერე ვჩერდებით. ბადრი გელოვანი და ჯამბულ ჭკადუა დაზვერვაზე გადიან. უგვიანდებათ ბიჭებს. მხოლოდ მეორე დღეს ბრუნდებიან გასაოცარი ინფორმაციით: ჩვენ მიერ გასავლელი მარშრუტის მონაკვეთებზე (ნაას ჩათვლით, პირველ ეტაპზე) სეპარატისტების მრავალრიცხოვანი ძალებია მობილიზებული. ვალიკო აფხაზავა (რომლის გვარი, წინა მასალაში შეცდომით – დობორჯგინიძედ მაქვს მოხსენიებული) სიბრაზეს ვერ მალავს: „სპუტნიკიდან“ გვითვალთვალებენ თუ ჩვენს ფიქრებსა და აზრებს კითხულობენ მათი „მჩხიბავები?!“

გონება მეხსნება: ვიღაც (ან რამდენიმე „ვიღაც“) ჩვენს გადაადგილებას გულისყურით აკვირდება, ლოგიკით, სათანადო მარშრუტს ადგენს (ხშირ შემთხვევაში, ჩვენი მარშრუტის თანხვდენილს), მერე რაციით გადასცემს. ასეთი გაცნობიერებული, მხოლოდ ხეობელი იქნება, ჩვენი თვალისთვის არა უცხო. იძულებული ვხვდებით, უკან დავბრუნდეთ. ჯაბა იოსელიანის დავალებით, რამდენიმე საეჭვო ადამიანის სიას ადგენენ ადგილობრივი მეთაურები და მათზე მეთვალყურეობას აწესებენ.



ამ დროისათვის, სენაკში, ვალერი ქვარაიას სამხედრო დანაყოფია. იქ ბადრი გალდავა, უშიშარი ვაჟკაცი, „მხედრიონელი“, ჩემი ნათლული მუშაობს. ბადრის რაციაზე „პერეხვატი“ დაუჭერია: დალის (კოდორის) ხეობიდან აფხაზურ ენაზე გადასცემდა ქალი ჩვენი მოქმედებისა და მოძრაობის მარშრუტს. რამდენჯერმე მამაკაცი „ამცნობდა“ ხეობის ვითარებას ქართულ ენაზე სეპარატისტების რაზმების ვაიქართველ წევრებს.

თავს აკლავენ სეპარატისტები და ჩრდილო კავკასიელი კონფედერატები ხეობის აღების მცდელობას. ფაქტის წინაშე უნდათ დააყენონ მთელი მსოფლიო ხეობის აღებით. კონფედერატებს კი საძარცვავად აინტერესებთ დალის ხეობა. იძულებით დევნილებისგან დატოვებული უამრავი მანქანა, ტონობით საუცხოო თაფლი, დიდი რაოდენობით საქონელი, პირუტყვი, იარაღი.

***– ცნობილია, რომ ამ დროისთვის რამდენჯერმე გაიმართა მოლაპარაკება გაეროს ეგიდით. გვიამბეთ ამ მოლაპარაკებების შესახებ, თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ და როგორი იყო პოლიტიკური ვითარება?***

– ჯაბა იოსელიანის მიზანი იყო, რომ ჯერ ერთი, მსოფლიოს გაეგო, რომ აფხაზეთის ხელით გვეომებოდა რუსეთი და რომ ეს ომი იყო რუსეთ-საქართველოს ომი. მეორე, მსოფლიოს გაეგო, რომ აფხაზეთში ჩატარდა ეთნიკური წმენდა და ქართველების გენოციდი. მესამე, აეძულებინათ სეპარატისტები, რომ ეცნოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. იოსელიანის აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო, წინა სამი პუნქტის აღსრულების შემდგომ, შექმნილიყო აფხაზეთის საერთაშორისო ფონდი, რომელიც მიმართული იქნებოდა აფხაზეთის ეკონომიკის ასაღორძინებლად და ომით დანგრეულის აღსადგენად. ამ უკანასკნელში დიდ მუშაობას ჩადებდნენ იქ დაბრუნებული ლტოლვილები და საერთაშორისო კომპანიები.

იყო ხმები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ კლინტონის ინიციატივით, შეიძლებოდა სენატს გაეროსთვის აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად 300 მილიონი დოლარი გამოეყო. ბატონი ჯაბა აფხაზების დელეგაციას „მოურიგდა“ ნახევრად ხუმრობით: – არ გვინდა არც რუსები, არც სამშვიდობო ჯარის ხარჯები, არც გაერო. ორასი მილიონი ქართულმა მოსახლეობამ ავიღოთ, ასი მილიონი აფხაზურმა, შევრიგდეთ და ახალი, მშვიდი ცხოვრება დავიწყოთ.

ჟენევაში, გაეროს ეგიდით მიმდინარეობს მოლაპარაკება. მოლაპარაკებას ხელმძღვანელობს შვეიცარიის ელჩი საფრანგეთში, ბრუნერი. იგი გაეროს გენერალური მდივნის, ბუტროს გალის ოფიციალური წარმომადგენელია. რუსების დელეგაციის ხელმძღვანელია პასტუხოვი. აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელია სოკრატ ჯინჯოლია. ქართული მხრიდან კომისიის შემადგენლობა ასეთია: ჯაბა იოსელიანი, შევარდნაძის საგანგებო წარმომადგენელი – სანდრო კავსაძე, ზურაბ ერქვანია, ადა მარშანია.

მოსკოვში, სანდრო კავსაძე და ირაკლი მაჭავარიანი აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ხელი ეწერება სამუშაო დოკუმენტს. საბოლოო სახით, პარლამენტმა უნდა მიიღოს. ჯაბა იოსელიანი მოსკოვის მოლაპარაკებებს არ ესწრება. იგი თბილისში იმყოფება. პასტუხოვი გვიან ღამით ურეკავს მოსკოვიდან იოსელიანს და ტექსტს უკითხავს. მერე უნდა, ტექსტის ერთი ფრაზა „მიასამშაბათოს“ და „გააძვრინოს“. იმ ერთ ფრაზას ეძიება იოსელიანი. „ფრაზა“ შემდეგია:

– სასწრაფოდ, უპირობოდ, მთელი კონფლიქტის ზონაში დაბრუნდნენ ლტოლვილები. პირველ რიგში, გალის რაიონში. ყველას გარანტირებული აქვს უშიშროების იმუნიტეტი. გარდა იმათ, ვინც იარაღით ხელში ომობდა, – ჯაბა იოსელიანი უცერემონიოდ აწყვეტინებს პასტუხოვს საუბარს. ეუბნება, რომ ეს წინადადება არა მოლაპარაკება, არამედ ულტიმატუმია და ყურმილს დებს. ერთი საათის მერე ისევ რეკავს პასტუხოვი. იგი ამბობს, რომ ლტოლვილების შესახებ პუნქტში ჩასწორდა ის ნაწილი, რამაც იოსელიანი აღაშფოთა, კავსაძესთან და მაჭავარიანთან ერთად შეთანხმდნენ ასეთ ფორმულირებაზე: „ვინც ომობდა და დღესაც სურს იარაღით ხელში დაბრუნება“.

ჯაბა იოსელიანი, რომელიც ტელეფონით ღებულობს მონაწილეობას ტექსტის ჩასწორებაში, ცდილობს, დააახლოვოს სასურველ ტექსტთან არსებული. მთელ პუნქტს არავინ შეცვლის, ამიტომ იოსელიანი შეძლებისდაგვარად, აკეთილშობილებს პუნქტში ჩაწერილ წინადადებას და ასეთ ფორმულირებას სთავაზობს მის გარეშე შეთანხმებულ-შესწორებულ ტექსტში: „ვინც ომობდა და დღესაც ძალის გამოყენებით, იარაღით ხელში ცდილობს დაბრუნებას“. ეს დოკუმენტი ლტოლვილების დაბრუნების შესახებ, პარლამენტის სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო და რატიფიცირებული უნდა ყოფილიყო. პარლამენტის რამდენიმე წევრმა ტექსტის ორი ნაწილი ერთმანეთს დააშორა განგებ, საკამათოდ და დაიწყო მწვავე კამათი იმაზე, რაც არ ყოფილა ტექსტში, ანუ უფრო ზუსტად: იმ რამდენიმე არაკეთილსინდისიერმა პარლამენტარმა გადააქსეროქსა ტექსტი ასე: – „ყველას გარანტირებული აქვს უშიშროების იმუნიტეტი, გარდა იმათი, ვინც იარაღით ხელში ომობდა“. მოაცილეს ტექსტს „და დღესაც, ძალის გამოყენებით, იარაღით ხელში ცდილობს დაბრუნებას“.

იოსელიანი სესიაზე კითხულობს ტექსტის სრულ ვარიანტს. მერე ყვება ასეთ ანეკდოტს: „სურათზე ხატია იხვი და ქვემოთ დიდი ასოებით დამარცვლულად წერია „იხ-ვი“. პირველი კლასის მოსწავლე კითხულობს „ი-ხ-ვ-ი“. მაშ, რა ყოფილა ეს? ეკითხება მასწავლებელი. „კვატა“, – პასუხობს ბავშვი. მე გიკითხავთ „ი-ხ-ვ-ი“, თქვენ თავს მიქნევთ და შემდეგ ამბობთ: „კვატა“ (იხ. ჯაბა იოსელიანის წიგნი „სამი განზომილება“.).

1994 წლის თებერვალში, ელცინი ჩამოდის თბილისში. ჯაბა იოსელიანი თეთრი ჩოხით მიდის შეხვედრაზე. გაცილებისას, ელცინს თვალი რჩება იოსელიანის შავ, მსუბუქ, მოქარგულ ნაბადზე. იოსელიანი უყოყმანოდ ჩუქნის მას ნაბადს.

რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები განლაგდნენ ზუგდიდი-წალენჯიხა, გალი-ოჩამჩირის მიმართულებებზე. ზუგდიდი-წალენჯიხის მიმართულების მეთაური იყო გენერალი ალექსეი პოტაპოვი, გალი-ოჩამჩირის მიმართულების მეთაური, გენერალი ვასილ იაკუშევი.

ჯაბა იოსელიანი მოითხოვს, რომ რუსების ე.წ. სამშვიდობო ჯარებს პოსტები ჰქონდეს დაშორიშორების შუაში და არა ზურგში. იოსელიანი ასეთ ულტიმატუმს უყენებს იაკუშევს.

დალის ხეობაში, ლათასთან, „ბაგრამიანის“ ბატალიონი დგას. წებელდაში ე.წ. რუსი სამშვიდობოები.

1994 წლის მაისის ბოლოსთვის, დალის ხეობიდან მოვდივარ. ჩემი ვარაუდით, 4-5 დღით. ჩემები ერთ კვირას მელოდებიან. მერე ისინიც მოდიან, მე დამსხვრეული ვწევარ საავადმყოფოში.

დალის ხეობა, აფხაზეთ-სვანეთის რეგიონის ერთადერთი მოკაშკაშე, ნათელი წერტილი, რუსის ჩექმამ ჩააქრო ახლახანს.

დაცემულ სოხუმში, აგუძერას საავადმყოფოში, სამშობლოსათვის მკერდშენგრეულ ბიჭებს პირობა მივეცი: მალე დავბრუნდებოდი, ბოლო ტყვიასაც გავისვრიდი ფსოუზე.

უსაშველოდ დიდი დრო გავიდა. ბიჭები მიცემული პირობის შესრულებას ელოდებიან დიდი მოთმინებით. უაფხაზეთობას არ გვაპატიებს წინაპართა თუ ჩვენი თანამებრძოლთა ნათელი სულები. უაფხაზეთობას არასოდეს გვაპატიებს საქართველო! წინ საქართველო და მისი სასიცოცხლო ინტერესებია. სამშობლოსთვის ამ ქვეყანაზე გაჩენაც ღირს და სიკვდილიც.

## მედიცინა

# რამდენს იმატებს ბავშვი ერთ წლამდე

დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ბავშვი წონაში მოიმატებს 6-7 კილოგრამს. მეორე წელს – 2.5-3.5 კილოგრამს. ხოლო შემდეგში ყოველწლიურად 2 კილოგრამს. ერთი წლის ზემოთ ბავშვის წონას ანგარიშობენ ფორმულით წონა !10/2ნ, სადაც 10 ერთი წლის ბავშვის წონაა. ნ კი – ბავშვის ასაკი. ვაჟების წონა ყოველთვის უფრო მეტია გოგონების წონაზე, გარდა 11-13 წლის ასაკისა. ამ დროს გოგონები სქესობრივად მწიფდებიან და წონაში ასწრებენ ვაჟებს.

წონის მატების დინამიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვების ხასიათს, ვიტამინების რაციონალურად მიღებას, სუფთა ჰაერით სარგებლობას და ჰიგიენის რეჟიმს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს გენეტიკური ფაქტორიც. რაც შეეხება სიგრძეს, ახალშობილის სიგრძე ცვალებადობს 47-54 სანტიმეტრს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორსულობის ახალშობილები უფრო ნაკლები სიგრძისანი არიან. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორსაც. სტატისტიკური მონაცემებით, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ახალშობილის სიგრძე მეტია, ვიდრე ჩამორჩენილ ქვეყნებში. სიმაღლეში მატება განსაკუთრებით ინტენსიურია სიცოცხლის პირველი წლის მანძილზე და სქესობრივი მომწიფების პერიოდში. პირველი წლის განმავლობაში ბავშვი იზრდება 23-25 სანტიმეტრით. პირველ კვარტალში ყოველთვიურად იმატებს 3-3,5 სანტიმეტრს. მეორე კვარტალში ყოველთვიურად – 2,5 სანტიმეტრს. მესამე და მეოთხე კვარტლებში – 1,5 სანტიმეტრს. სიცოცხლის მეორე წლის განმავლობაში ბავშვი იმატებს 10-13 სანტიმეტრით. ერთი წლის ზემოთ ბავშვის სიმაღლე გამოიანგარიშება ფორმულით: ბავშვის სიმაღლე!75/5 ნ, სადაც ნ ბავშვის ასაკია წლებში. ხოლო 75 – ერთი წლის ასაკის ბავშვის საშუალო სიმაღლე. ახალშობილის სიგრძე ორმაგდება 5 წლის ასაკში. ხოლო სამმაგდება 14-15 წლის ასაკში.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის წონაში მატება მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად, ვიდრე სიმაღლეში ზრდა. არის ერთგვარი ჯვარედინები. წონაში და სიმაღლეში მატება ყოველთვის პარალელური ინტენსივობით არ ხდება. სიმაღლეში ზრდა ჩერდება საშუალოდ ვაჟებში – 25 წელზე. გოგონებში – 18 წელზე. გარდა გარეშე და მემკვიდრეობითი ფაქტორებისა, ზრდაზე გავლენას ახდენს ენდოკრინული ჯირკვლებიც. მაგალითად, ფარისებური ჯირკვლის ფუნქციის ზრდის ეფექტი მჟღავნდება სიცოცხლის ხუთი წლის მანძილზე და შემდეგ სქესობრივი მომწიფების პერიოდში. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი ასტიმულირებს ძვლის ქსოვილის წარმოქმნას და, შესაბამისად, სხეულის ზრდას. ბავშვის ნორმალურ განვითარებაზე მსჯელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის პროპორციების შეფასებას. ბავშვის



სხეულის ცალკეული ნაწილები არათანაბრად იზრდება, მაგალითად, ზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში ქვემო კიდურების სიგრძე იზრდება დაახლოებით 5-ჯერ, ზემო კიდურებისა – 4-ჯერ. ტანისა – 3-ჯერ, ხოლო თავის სიმაღლე – 2-ჯერ. ახალშობილის თავის სიმაღლე ტანის საერთო სიგრძის დაახლოებით 1/4 -ს შეადგენს. 2 წლის ბავშვისა –1/5-ს. 6 წლისა–1/7-ს. ხოლო ზრდასრულისა– 1/8-ს.

ახალშობილის გულმკერდის გარშემოწერილობა ოდნავ ჩამორჩება თავისას და უდრის 32 სანტიმეტრს. 6 თვის ასაკში ისინი უტოლდებიან ერთმანეთს. ხოლო შემდეგ გულმკერდის გარშემოწერილობა იმდენი სანტიმეტრით მეტია თავის გარშემოწერილობაზე, რამდენი წლისაც არის ბავშვი.

# აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და იაპონიამ ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის დაბლოკვისკენ მოუწოდეს



აშშ-ის, იაპონიის და სამხრეთ კორეის უშიშროების საბჭოების მდივნები ერთმანეთს შეხვდნენ სეულში. მათ შეშფოთება გამოთქვეს ჩრდილოეთ კორეისა და რუსეთის დაახლოების გამო.

– ჩრდილოეთ კორეამ რუსეთს მილიონამდე საარტილერიო ჭურვი მიაწოდა! – განაცხადა სამხრეთ კორეის წარმომადგენელმა.

სამივე ქვეყანამ მსოფლიო საზოგადოებას მიმართა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის დაბლოკვა მოითხოვა.

# თეთრმა სახლმა ისრაელისათვის მძიმე ტექნიკის გადაცემას მხარი დაუჭირა

თეთრმა სახლმა კონსტიტუციით მინიჭებული საგანგებო უფლებები გამოიყენა და ისრაელისათვის მძიმე ტექნიკის მიწოდებას მხარი დაუჭირა:

– ისრაელს 106 მილიარდი დოლარის მძიმე ტექნიკას მიაწოდებენ! – იტყობინება სააგენტო „რეიტერსი".

# ირანის ხელისუფლება დემოკრატი-აქტივისტების შევიწროებას განაგრძობს



ირანის ხელისუფლება დემოკრატი-აქტივისტების შევიწროებას განაგრძობს. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ირანის მთავრობამ დაბლოკა მეხსი ამინის ოჯახის საფრანგეთში გამგზავრება. იქ ამ ოჯახს სახაროვის სახელობის პრემია უნდა მიეღო.

მეხსი ამინი წარმოშობით ქურთია. ის ქალთა უფლებებისათვის იბრძოდა. ამის გამო პოლიციამ ამინი დააკავა. საკანში ყოფნისას ამინი კომაში ჩავარდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

# რუსეთში ჟურნალისტების დევნა გრძელდება



რუსი ჟურნალისტის ანდრეი სერაფიმოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ბრალდება სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის ძირის გამოთხრაა.

სერაფიმოვი „ევროპის ახალ გაზეთში" თანამშრომლობდა. თავის უკანასკნელ სტატიაში ის მოუწოდებდა თანამემამულეთ, რომ სამხედრო კომისარიატებში არ გამოცხადებულიყვნენ. ხელისუფლებამ ასეთი სტატია დეზერტირობისაკენ მოწოდებად აღიქვა. სერაფიმოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ტანკები – 5.636; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.529; არტილერა – 8.064; თვითმფრინავები – 324. განადგურებულია 338.820 ოკუპანტი.

ფრონტებზე მარცხისა და მსხვერპლის შედეგად ოკუპანტებმა უკრაინის ტერიტორია კვლავ დაბომბეს. კერძოდ, უკრაინის მიმართულებით 19 რაკეტა იქნა გაშვებული. აქედან უკრაინელებმა 15 ჩამოაგდეს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# პალესტინის პრემიერი: „ისრაელის განცხადება, რომ აპირებს „ჰამასის" აღმოფხვრას, არარეალურია, ეს არ მოხდება"



პალესტინის პრემიერ-მინისტრის, მოჰამედ შტაიეს განცხადებით, არარეალურია ის, რომ ისრაელი შეძლებს „ჰამასის" აღმოფხვრას.

– ძალიან მნიშვნელოვანია, ყველამ გავაცნობიეროთ, რომ „ჰამასი" არის პალესტინის პოლიტიკური მოზაიკის განუყოფელი ნაწილი. ამიტომ, ისრაელის განცხადება, რომ აპირებს „ჰამასის" აღმოფხვრას, ვფიქრობ, არარეალურია, ეს არ მოხდება და სრულიად მიუღებელია ჩვენთვის, – განაცხადა პალესტინის პრემიერმა დოჰას ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, პალესტინელების მთავარი საზრუნავი არის ის, რომ სურთ შეწყდეს სისასტიკე და გენოციდი.

– გვჭირდება ყოვლისმომცველი პოლიტიკური გადაწყვეტა, რომელიც ბოლოს მოუღებს პალესტინელთა ამ ტანჯვას, რომელიც დაიწყო 75 წლის წინ. მოვლენები პალესტინაში მხოლოდ 7 ოქტომბერს არ დაწყებულა, – აღნიშნა პალესტინის პრემიერმა.

შეგახსენებთ, ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ გაანადგურებს „ჰამასს", რომელმაც 7 ოქტომბერს ისრაელზე მოულოდნელი თავდასხმა განახორციელა, რის შედეგადაც დაახლოებით 1.200 ადამიანი დაიღუპა, 240-ზე მეტი ადამიანი კი მძევლად აიყვანეს და ღაზის სექტორში გადაიყვანეს.


## განცხადებები

● ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი, პრაქტიკა 50-წლიანი. „იადიგარ დაუდი" იყო მეფეთ-მეფის შვილი, მეფე ექიმი, მეცნიერი, მკვლევარი დავით ბაგრატიონი (ნახეთ სოციალურ ქსელში), აღიარებდა 4 სახის მედიცინას. მე ავირჩიე ხალხური და მაგიური მედიცინა, წიგნი „იადიგარ დაუდი" და მასში მოყვანილი მაგიური მკურნალობა შემაყვარა დედამ, ალა მერებაშვილმა, მას კი თავისი მაგისგან დავით მერებაშვილისგან გადმოეცა, რომელიც XVIII საუკუნეში ძლიერ ექიმად ითვლებოდა თიანეთის რაიონში. რასაც გთავაზობთ, ეს მაგიური მედიცინაა, უწამლოდ. სიტყვა „მაგია" ნიშნავს სასწაულს, საოცრებას. ამ საოცრებას ვახდენ ფოტოსურათით: აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, ბავშვებში სასქესო ორგანოს ზრდის შეჩერება, მოზარდებში დაუმორჩილებლობა, დაუდგენელი დიაგნოზის დაავადებები, რაც გამოწვეულია შავი ძალებით (მაგ. სექსუალური დარღვევები, უშვილობა), მოძალადის დაწყნარება ან ჩამოცილება, ურთიერთობის პრობლემები და კიდევ ბევრი რამ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №57. მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ოფისი 777. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნებისმიერ დღეს.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


## სპორტი

# ოლიმპიურ კომიტეტს მძლეოსნები არ უჯერებენ



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტები (ინა), რომლებმაც სპორტის საერთაშორისო ფედერაციების მიერ დაწესებული საკვალიფიკაციო სისტემით კვალიფიკაცია გაიარეს, უფლებამოსილი იქნებიან 2024 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზონ.

ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტები არიან რუსეთის ან ბელარუსის პასპორტის მქონე სპორტსმენები.

სოკ-ის ცნობით, რუსი და ბელარუსი სპორტსმენები პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე დაუშვეს, მაგრამ არა სრულფასოვანი, არამედ როგორც ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტების სტატუსით. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ სპორტსმენებს მხოლოდ პირად პირველობებში ასპარეზობის უფლება ექნებათ.

ნეიტრალურ სპორტსმენებს ეკრძალებათ დროშის, ჰიმნის და რუსეთთან ან ბელარუსთან დაკავშირებული, ასევე მათი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ნებისმიერი სხვა სიმბოლოს გამოყენება. ორივე ქვეყნის სპორტსმენები სარბიელზე გავლენ აბრევიატურით. მაყურებელს, ისევე, როგორც სპორტსმენებს, ეკრძალებათ ოლიმპიურ ობიექტებზე ამ ქვეყნების ეროვნული სიმბოლიკის წარმოდგენა.

წლეულს, 28 მარტს სოკი საერთაშორისო შეჯიბრებებზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენების ნეიტრალური სტატუსით დაშვების რეკომენდაციით გამოვიდა, ოღონდ მხოლოდ მათი, რომლებსაც უკრაინაში მიმდინარე ომის მხარდამჭერი განცხადება არ გაუკეთებიათ და არც რაიმე კავშირში არიან შეიარაღებულ ძალებთან თუ სამსახურებთან. ასევე რუსი და ბელარუსი სპორტსმენები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი გუნდურ სახეობებში.

გარდა ამისა, ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების უფლება არ ექნებათ რუსეთის და ბელარუსის ოფიციალურ პირებს. რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში, სოკი და პარიზი-2024-ის საორგანიზაციო კომიტეტი იტოვებენ უფლებას დისკვალიფიკაციით დასაჯონ სპორტსმენი ან დელეგაციის წევრი.

ერთადერთი, ვინც ჯერ ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაა, რომლის პრეზიდენტმა, სებასტიან კოუმ განაცხადა, რომ რუსი მძლეოსნები 2024 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე არ იქნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტმა რუსი სპორტსმენები ზაფხულის ოლიმპიადაზე ნეიტრალური სტატუსით დაუშვა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აზრი არ შეცვლილა.

**სებასტიან კოუ:**

– ეს არის გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი დაუჭირეს ოლიმპიურ სამიტზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი. თუმცა, საერთაშორისო ფედერაციებს აქვთ პრიორიტეტული უფლებები, რათა სპორტსმენების შერჩევას საკუთარი შეფასება მისცენ. ჩვენ გვაქვს მკაფიო პოზიცია, რომელსაც არ ვცვლით. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ რუსი სპორტსმენები პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ ეს არ მოხდება მძლეოსნობის ტურნირზე. ეს არის პოზიცია, რომელიც მივიღეთ და არ შეიცვლება. აქ არაფერია დასამატებელი, ეს პოზიცია თითქმის ერთხმად დააფიქსირეს მძლეოსნობის ოჯახის წევრებმა.

პარიზი ოლიმპიურ თამაშებს 2024 წლის 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს.

# შედეგები

**9 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

## ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-ლივერპული ........ 1:2
ბრაიტონი-ბარნლი ........ 1:1
ვულვზი-ნოტინგემი ........ 1:1
მანჩესტერი-ბორნმუთი ........ 0:3
შეფილდი-ბრენტფორდი ........ 1:0
ასტონ ვილა-არსენალი ........ 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 36-15 | 37 |
| 2.არსენალი | 16 | 11 | 3 | 2 | 33-15 | 36 |
| 3.ასტონ ვილა | 16 | 11 | 2 | 3 | 35-20 | 35 |
| 4.სიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 36-17 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 15 | 8 | 3 | 4 | 29-22 | 27 |
| 6.მანჩესტერი | 16 | 9 | 0 | 7 | 18-21 | 27 |
| 7.ნიუკასლი | 15 | 8 | 2 | 5 | 32-17 | 26 |
| 8.ბრაიტონი | 16 | 7 | 5 | 4 | 33-28 | 26 |
| 9.ვესტ ჰემი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-25 | 24 |
| 10.ჩელსი | 15 | 5 | 4 | 6 | 26-24 | 19 |
| 11.ბრენტფორდი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-22 | 19 |
| 12.ვულვზი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 13.ბორნმუთი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-30 | 19 |
| 14.ფულემი | 15 | 5 | 3 | 7 | 21-26 | 18 |
| 15.კრ.პალასი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-23 | 16 |
| 16.ნოტინგემი | 16 | 3 | 5 | 8 | 17-28 | 14 |
| 17.ევერტონი | 15 | 6 | 2 | 7 | 18-20 | 10 |
| 18.ლუთონი | 15 | 2 | 3 | 10 | 16-30 | 9 |
| 19.ბარნლი | 16 | 2 | 2 | 12 | 16-34 | 8 |
| 20.შეფილდი | 16 | 2 | 2 | 12 | 12-41 | 8 |

## ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექბერნი-ლიდსი ........ 0:2
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი ........ 2:1
კარდიფი-მოზერველი ........ 1:0
ქპრ-ჰალი ........ 2:0
ლესტერი-პლიმუთი ........ 4:0
მიდლსბრო-იფსვიჩი ........ 0:2
ნორვიჩი-პრესტონი ........ 0:0
როტერჰემი-სუონსი ........ 1:2
სტოკი-უენსდი ........ 0:1
უოტფორდი-საუთჰემპტონი ........ 1:1
ჰადერსფილდი-ბრისტოლი ........ 1:1

## გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ბაიერნი ........ 5:1
ვერდერი-აუგსბურგი ........ 2:0
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი ........ 0:1
უნიონი-გლადბახი ........ 3:1
ჰაიდენჰაიმი-დარმშტადი ........ 3:2
დორტმუნდი-ლაიფციგი ........ 2:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 13 | 11 | 2 | 0 | 38-11 | 35 |
| 2.ბაიერნი | 13 | 10 | 2 | 1 | 44-14 | 32 |
| 3.შტუტგარტი | 13 | 10 | 0 | 3 | 33-15 | 30 |
| 4.ლაიფციგი | 14 | 9 | 2 | 3 | 34-15 | 29 |
| 5.დორტმუნდი | 14 | 7 | 4 | 3 | 28-23 | 25 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 14 | 7 | 2 | 5 | 28-24 | 23 |
| 7.აინტრახტი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-16 | 21 |
| 8.ფრაიბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 17-23 | 21 |
| 9.აუგსბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 23-27 | 17 |
| 10.გლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 28-31 | 16 |
| 11.ვოლფსბურგი | 14 | 5 | 1 | 8 | 18-25 | 16 |
| 12.ვერდერი | 14 | 4 | 2 | 8 | 20-27 | 14 |
| 13.ჰაიდენჰაიმი | 14 | 4 | 2 | 8 | 21-30 | 14 |
| 14.ბოხუმი | 14 | 2 | 7 | 5 | 15-29 | 13 |
| 15.უნიონი | 13 | 3 | 1 | 9 | 15-28 | 10 |
| 16.კიოლნი | 13 | 2 | 3 | 8 | 10-24 | 9 |
| 17.დარმშტადი | 14 | 2 | 3 | 9 | 17-37 | 9 |
| 18.მაინცი | 13 | 1 | 5 | 7 | 12-26 | 8 |

## გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-პადერბონი ........ 1:2
ფიურტი-მაგდებურგი ........ 1:1
კაიზერი-ჰერტა ........ 1:2
ოსნაბრიუკი-ზ.პაული ........ 1:1

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ლას პალმასი ........ 0:1
ბეტისი-რეალი ........ 1:1
ვილიარეალი-სოსიედადი ........ 0:3
მალიორკა-სევილია ........ 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 16 | 12 | 3 | 1 | 34-10 | 39 |
| 2.ხირონა | 15 | 12 | 2 | 1 | 34-18 | 38 |
| 3.ბარსელონა | 15 | 10 | 4 | 1 | 28-14 | 34 |
| 4.ატლეტიკო | 14 | 10 | 1 | 3 | 30-13 | 31 |
| 5.სოსიედადი | 16 | 8 | 5 | 3 | 29-18 | 29 |
| 6.ბილბაო | 15 | 8 | 4 | 3 | 30-18 | 28 |
| 7.ბეტისი | 16 | 6 | 8 | 2 | 19-17 | 26 |
| 8.ლას პალმასი | 16 | 7 | 3 | 6 | 14-13 | 24 |
| 9.ხეტაფე | 16 | 5 | 7 | 4 | 18-20 | 22 |
| 10.ვალენსია | 16 | 5 | 4 | 7 | 17-21 | 19 |
| 11.რაიო | 15 | 4 | 7 | 4 | 16-22 | 19 |
| 12.ალავესი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-20 | 16 |
| 13.ვილიარეალი | 16 | 4 | 4 | 8 | 22-29 | 16 |
| 14.ოსასუნა | 15 | 4 | 3 | 8 | 17-25 | 15 |
| 15.მალიორკა | 16 | 2 | 8 | 6 | 14-20 | 14 |
| 16.სევილია | 15 | 2 | 7 | 6 | 20-21 | 13 |
| 17.კადისი | 15 | 2 | 6 | 7 | 12-22 | 12 |
| 18.სელტა | 15 | 1 | 6 | 8 | 15-25 | 9 |
| 19.გრანადა | 15 | 1 | 4 | 10 | 19-35 | 7 |
| 20.ალმერია | 15 | 0 | 4 | 11 | 16-37 | 4 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ამორებიეტა ........ 2:1
ხიხონი-ლევანტე ........ 0:0
ბურგოსი-მირანდესი ........ 0:0

## იტალია. სერია ა

ვერონა-ლაციო ........ 1:1
ატალანტა-მილანი ........ 3:2
ინტერი-უდინეზე ........ 4:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 2 | 1 | 37-7 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 15 | 11 | 3 | 1 | 23-9 | 36 |
| 3.მილანი | 15 | 9 | 2 | 4 | 26-18 | 29 |
| 4.რომა | 14 | 7 | 3 | 4 | 27-16 | 24 |
| 5.ნაპოლი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-18 | 24 |
| 6.ფიორენტინა | 14 | 7 | 2 | 5 | 23-17 | 23 |
| 7.ატალანტა | 15 | 7 | 2 | 6 | 24-18 | 23 |
| 8.ბოლონია | 14 | 5 | 7 | 2 | 16-11 | 22 |
| 9.ლაციო | 15 | 6 | 3 | 6 | 16-16 | 21 |
| 10.ტორინო | 14 | 5 | 4 | 5 | 13-16 | 19 |
| 11.მონცა | 14 | 4 | 6 | 4 | 15-14 | 18 |
| 12.ფროზინონე | 14 | 5 | 3 | 6 | 20-24 | 18 |

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# შავი ლომის ისტორიული დასაწყისი

**შავი ლომი (საქართველო)-გლოსტერი (ინგლისი) 10:15**

შავმა ლომმა ჩელენჯ თასის სადებიუტო შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა ამინდში. მოღრუბლულობამ და ზედ მატჩის დაწყებამდე წამოსულმა წვიმამ ამ უმაგრეს, ისტორიულ თამაშს მაყურებელი მოაკლო. არ გაგვიმართლა უშუალოდ თამაშისას: შავმა ლომმა 150-წლიან კლუბ გლოსტერს ტოლი არაფერში დაუდო და გამარჯვებასაც იმსახურებდა, მაგრამ...

10:15 – ასე დამთავრდა თამაში, რომელშიც ქართულმა რაგბმა ისტორია დაწერა და უმაღლესი დონის საკლუბო ტურნირის სადებიუტო შეხვედრაში პირველი საცხრილო ქულა მოიპოვა. ეს არის შედეგი, რომელიც ისტორიას დარჩება. მანამდე კი არის თამაში, ხარისხი, რომელმაც დაგვანახა, რომ ჩელენჯ თასი ზუსტად ის ტურნირია, სადაც ქართული რაგბი კიდევ უფრო გაიზრდება და დაუახლოვდება ტიერ 1-ს.

თუმცა, თამაშის მსვლელობამ ისიც დაგვანახა, რომ ინგლისის პრემიერშიფის ერთ-ერთი უძველესი კლუბი ქართული პროფესიული ფრენჩაიზისგან ბევრად წინ არ არის. გლოსტერმა ლიდერების ნაწილი კი დაასვენა, მაგრამ თბილისში ისეთი ვარსკვლავები იახლა, როგორებიც ჯონი მეი, მიკ იანგი, ლუის ლეიდლოუ და სხვები არიან.

მიუხედავად ამისა, შავმა ლომმა მეტოქეს ლელო არ დაადებინა და მთელ რიგ კომპონენტებში აჯობა. ბურთის ფლობა და ტერიტორია სტუმრების იყო, მაგრამ პირველი ტაიმის მეორე ნახევარში სიტუაციას მასპინძლები აკონტროლებდნენ და ჩათვლილის გარდა, ერთი არჩათვლილი ლელოც გაიტანეს.

ჩვენმა გუნდმა იბრძოლა ბოლო წუთამდე და სულ იყო შეგრძნება, რომ ამ თამაშის წამოღება შეიძლებოდა. ამისთვის გამოცდილება და ენერგია არ გვეყო, მაგრამ ის მაინც გამოჩნდა, რომ ქართულმა რაგბმა შავი ლომის სახით საკადრის ადგილას აინაცვლა. პლუს, დეკემბერსა და იანვარში, გუნდს ჯგუფურ ეტაპზე ამ დონის კიდევ სამი შეხვედრა ელის: უელსში სკარლეტსთან, საფრანგეთში კასტრთან და თბილისში ისევ ფრანგულ გუნდ კლერმონთან.



გლოსტერთან მატჩი სტუმრების შეტევებით დაიწყო. ინგლისელები ფაზებს კინძავდნენ და მაღალ ტემპში ცდილობდნენ ბურთაობას, მაგრამ კარგ დაცვას წააწყდნენ და ქულები ჯარიმებით აიღეს – ჯონ ბართონმა დარტყმები 40 და 35 მეტრიდან შეასრულა.

შავი ლომი გააქტიურდა, მეტოქის 22-ში შევიდა და პირველივე გააზრებული შეტევა ლელოთი დაასრულა. ლუკა მატკავამ მცველი ცრუმოძრაობაზე გამოიჭირა, ხაზი სუფთად გაჭრა, კიდევ ორი მბოჭავი დააწვინა და ბურთი ძელის გვერდით დაამიწა. ეს იყო ჩვენი გუნდის პირველი ლელო და ქულა ჩელენჯ თასზე. მატკავამ გარდასახვით მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ გლოსტერმა ცენტრიდან გატანილი ჯარიმით უპირატესობა 27-ე წუთზე დაიბრუნა.

მიუხედავად ამისა, შავი ლომი სრულად დაეუფლა ინიციატივას, მალევე დერეფნიდან მოლი ააგორა და ლელო გაიტანა, მაგრამ ვიდეორეფერიმ დეტალური გარჩევისას ბლოკი დააფიქსირა. რამდენიმე წუთში ანალოგიური ეპიზოდი განმეორდა და ამჯერად რეფერიმ ბლოკი გადამოწმების გარეშე ჩასტვინა.

მეორე ტაიმის პირველივე წუთებიდან ინგლისელები გააქტიურდნენ და ბართონმა 48-ე წუთზე ჯარიმით უპირატესობა გაზარდა. დაცვაში კარგად ვითამაშეთ, რამდენჯერმე 22-ში მეტოქის დერეფანი წამოვიღეთ, მერე კი მეტოქის ნახევარზე ჯარიმა გამოვიმუშავეთ და მატკავამ 25 მეტრიდან 2-ქულიანი სხვაობა აღადგინა.

მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი, რაც შავმა ლომმა შეძლო. გარდამტეხ მომენტში გლოსტერმა მოახერხა თამაშის სასურველ რითმში გადაყვანა, 71-ე წუთზე ბართონმა მე-5 ჯარიმა გაიტანა და საკუთარ გუნდს 15:10 მოაგებინა.

შავმა ლომმა ჩელენჯ თასის სადებიუტო შეხვედრაში ქართული რაგბის ისტორიაში პირველი ქულა მოიპოვა, რითაც ედინბურგსა და სკარლეტს გადაასწრო და მე-4 ადგილზეა. პირველ ტურში კლერმონმა ედინბურგს 31:18, ხოლო კასტრმა სკარლეტს 34:16 მოუგო.

შავი ლომი ახლა უელსში გაემგზავრება, სადაც ადგილობრივ სკარლეტს 16 დეკემბერს შეერკინება.

# ლეგიონერთა მაგარი დღეები

ნბა-ში გოგა ბითაძემ შედეგიანად ითამაშა, მისმა გუნდმა კი გამარჯვება იზეიმა – ორლანდო მეჯიქმა დეტროიტ პისტონსს უმასპინძლა და 123:91 გაანადგურა. გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო ქართველმა ცენტრმა, რომელმაც სასტარტო ხუთეულში ზედიზედ მე-17 მატჩი ითამაშა.



ბითაძემ მოედანზე გატარებულ 27 წუთში 7-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 1 ზუსტი საჯარიმოც მოაყოლა და 13 ქულა მიითვალა, რასაც 8 მოხსნა, 4 დაფარება და 2 პასი მიაყოლა. გოგას მოედანზე ყოფნის პერიოდში ორლანდომ დეტროიტს 26 ქულით აჯობა, რაც ფლორიდელთა გუნდში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

რაც შეეხება ყველაზე შედეგიან მოთამაშეს, ორლანდოში გერმანელი ფრანც ვაგნერი გამოირჩა 27 ქულით, პაოლო ბანკერომ 24 ქულა ჩააგდო. დეტროიტის ლიდერ კეიდ კანინგემზე (21 ქულა) მეტად მიჩიგანელთა ძირითადი ცენტრის მონაგარია საინტერესო – ბითაძის უშუალო კონკურენტმა 23 წუთში 9 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, ბურთი კი 4-ჯერ დაკარგა. ბითაძეს კი მხოლოდ 1 დაკარგვა ჰქონდა.

15 მოგებითა და 7 მარცხით ორლანდო აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-2 ადგილზეა. შემდეგი მატჩი გოგას გუნდს შინ, კლივლენდთან ელის.

სეზონის წინ სანდრო მამუკელაშვილზე უფრო უკეთ წერდნენ, ვიდრე მიმდინარე სეზონის დროს სათამაშო დრო ეძლევა.

სან ანტონიო სპურსის მთავარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი მამუკელაშვილს, ფაქტობრივად, არ ათამაშებს, თანაც მოედანზე მხოლოდ მაშინ გამოჰყავს, როდესაც მატჩის ბედი გადაწყვეტილია.

მამუკელაშვილი სათამაშო პრაქტიკისთვის №□ა-ის განვითარების ლიგაში გაუშვეს, სადაც სპურსის ფარმკლუბი ოსტინია, რომელმაც ჩვენებურის დახმარებით ტეხასი 124:122 დაამარცხა.

მამუკელაშვილის დამსახურება მართლაც დიდია – ქართველმა ფორვარდმა ეფექტური ორმაგი დუბლი შეასრულა – 34 ქულა, 22 მოხსნა, 4 პასი, 2 დაფარება. სანდრომ 11-დან 7 ორქულიანი, 13-დან 5 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

როგორც ხედავთ, მამუკელაშვილი განვითარების ლიგისთვის ზედმეტად განვითარებულია, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე ჯერ დრო არ ეძლევა.

ევროპაში კი, თორნიკე შენგელია შეუჩერებელია და ტემპს, რომელიც ამ სეზონის დასაწყისიდან აიღო, კიდევ უფრო ზრდის. შენგელია ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშე გახდა ევროპის 2 წამყვან ლიგაში – სერია ა-სა და ევროლიგაში, არანაკლებ შედეგიანი იყო ნოემბერშიც და დიდი შანსია, ოქტომბრის შთამბეჭდავი დუბლი დეკემბერში გაიმეოროს.

თოკო ევროლიგას სტატისტიკურ მაჩვენებლების გამაერთიანებელი ინდექსით ლიდერობს და ეს უპირატესობა ამ ტურში კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზარდა. შენგელიამ მაკაბისთან მოგებულ მატჩში 27 ქულა მიითვალა, სარგებლიანობის 34 ინდექსს უწია და ამ მაჩვენებელში უპირატესობა ყველა კალათბურთელთან, გარდა შეინ ლარკინისა, მნიშვნელოვნად გაზარდა. ეფესის ამერიკელმა უკანახაზელმა მე-13 ტურში თავი ისახელა – მისი 32 ქულით ეფესმა სტუმრად ალბა დაამარცხა და დიდი ალბათობით ტურის საუკეთესო მოთამაშედ თურქული პასპორტის მქონე ამერიკელს დაასახელებენ.

ბოლონიაში კი ზეიმია. ვირტუსი თორნიკე შენგელიას ლიდერობით მოგებას მოგებაზე ითვლის – იქნება ეს სერია ა თუ კიდევ უფრო მძლავრი ევროლიგა. მე-13 ტურის მატჩი ვირტუსმა შინ, ისრაელის მაკაბისთან გამართა და 100:90 გაიმარჯვა.

თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ, რომელიც 49:49 დასრულდა, ვირტუსმა ლიდერობა მოიპოვა და მესამე პერიოდის 6-ქულიან ჰანდიკაპს ბოლო ათწუთეულში 4 კიდევ მიამატა. ეს ყველაფერი უპირველესად შენგელიას დამსახურებაა, რომელმაც 33:52 წუთში 27 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 13-დან 10 ორქულიანი, 3-დან ერთი სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. შედეგიანი მატჩი ჰქონდა მარკო ბელინელისაც, რომელმაც ვირტუსს 22 ქულა შემატა. მარკომ 8-დან 4 სამქულიანი ჩააგდო.

ბოლონიას 13 მატჩში 9 მოგება და 4 მარცხი დაუგროვდა. იტალიური გუნდი ევროლიგის 18-გუნდიან ცხრილში მესამე ადგილზეა. შენგელია მომდევნო ტურში ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება – ევროლიგის მე-10 ტურში ვირტუსის მეტოქე ბასკონია იქნება.

# მოფარიკავეთა უმედლო ტურნირი

ქართველმა მოფარიკავეებმა: სანდრო ბაზაძემ, ლიკა ჯიჯეიშვილმა, ვახტანგ არჩვაძემ და ალექსანდრა კუვაევამ საფრანგეთის ქალაქ ორლეანში ძალები სეზონის პირველ გრან პრიში მოსინჯეს.



სანდრო ბაზაძე, როგორც მოხმალავე მამაკაცებში მსოფლიოს რეიტინგის ლიდერი, კვალიფიკაციიდან თავისუფალი იყო და მედლებისთვის ბრძოლაში ოცდამეთორმეტედ ფინალიდან ჩაება, დანარჩენებმა პაექრობები ჯგუფური ეტაპიდან დაიწყეს.

ლიკა ჯიჯეიშვილმა კვალიფიკაციაში ექვსივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ფლეი ოფის პირველივე წრეში ფრანგ სარა ნუჩთან (14:15) წააგო და 39-ე ადგილზე გავიდა. ალექსანდრა კუვაევა ყველა შეხვედრაში დამარცხდა და ფლეი ოფში ვერ გავიდა.

ფლეი ოფში სანდრო ბაზაძემ ნიგერიელ ევან ჟან აბა გიროს (15:9) აჯობა, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში მოულოდნელად ეგვიპტელ ადამ მოატაზისთან (12:15) დამარცხდა.

ჯგუფურ რაუნდში მონაწილეობდა ვახტანგ არჩვაძე, რომელმაც ოთხ მეტოქეს სძლია, ფლეი ოფშიც პირველი რაუნდი იტალიელ ჯაკომო მინუცის (15:10) მოუგო, მაგრამ მეორე წრეში უნგრელ სანად გემეშთან (12:15) წააგო.

ორლეანში გრან პრის შეხვედრებს, სხვადასხვა ქვეყნის არბიტრებთან ერთად, ქართველი მსაჯი ზაზა მჭედლიძე მოემსახურა.

დასაწყისი მე-6 გვერდზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.ლეჩე | 14 | 3 | 7 | 4 | 16-19 | 16 |
| 14.ჯენოა | 14 | 4 | 3 | 7 | 15-19 | 15 |
| 15.სასუოლო | 14 | 4 | 3 | 7 | 21-26 | 15 |
| 16.უდინეზე | 15 | 1 | 9 | 5 | 12-25 | 12 |
| 17.ვერონა | 15 | 2 | 5 | 8 | 13-22 | 11 |
| 18.ემპოლი | 14 | 3 | 2 | 9 | 9-26 | 11 |
| 19.კალიარი | 14 | 2 | 4 | 8 | 13-26 | 10 |
| 20.სალიერნიტანა | 14 | 1 | 5 | 8 | 10-28 | 8 |

### იტალია. სერია ბ

ასკოლი-სპეცია ........ 1:2
ბარი-ზიუდტიროლი ........ 2:1
კრემონეზე-ვენეცია ........ 1:0
სამპდორია-ლეკო ........ 2:0
ტერნანა-ფერალსიპალო ........ 2:1
ჩიტადელა-კოზენცა ........ 2:0
კატანძარო-პიზა ........ 2:0

### საფრანგეთი. ლიგა 1

რენი-მონაკო ........ 1:2
პსჟ-ნანტი ........ 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 11 | 3 | 1 | 38-12 | 36 |
| 2.მონაკო | 15 | 9 | 3 | 3 | 31-20 | 30 |
| 3.ნიცა | 14 | 8 | 5 | 1 | 14-5 | 29 |
| 4.ლილი | 14 | 7 | 5 | 2 | 19-11 | 26 |
| 5.ლანსი | 15 | 6 | 5 | 4 | 19-15 | 23 |
| 6.რეიმსი | 14 | 7 | 2 | 5 | 20-19 | 23 |
| 7.ბრესტი | 14 | 6 | 4 | 4 | 18-15 | 22 |
| 8.მარსელი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-14 | 20 |
| 9.ნანტი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-25 | 18 |
| 10.ლეავრი | 14 | 3 | 7 | 4 | 12-15 | 16 |
| 11.მეცი | 14 | 4 | 4 | 6 | 15-22 | 16 |
| 12.რენი | 15 | 3 | 6 | 6 | 20-21 | 15 |
| 13.მონპელიე | 15 | 3 | 6 | 6 | 17-20 | 14 |
| 14.სტრასბური | 14 | 3 | 5 | 6 | 12-19 | 14 |
| 15.ტულუზა | 14 | 2 | 7 | 5 | 14-18 | 13 |
| 16.ლორიანი | 14 | 2 | 6 | 6 | 18-25 | 12 |
| 17.კლერმონი | 14 | 2 | 4 | 8 | 9-21 | 10 |
| 18.ლიონი | 14 | 1 | 4 | 9 | 11-27 | 7 |

## შედეგები

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმონენშე-ფამილიკაუ ........ 1:1
გიმარაეში-სპორტინგი ........ 3:2
პორტუ-კასა პია ........ 3:1

### ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი

აიაქსი-სპარტა ........ 2:1
ზვოლე-ნაიმეგენი ........ 1:3
ალკმაარი-ალმერე ........ 4:1

### ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-ანტვერპენი ........ 1:3
სტ.ტრუიდენი-ლეუვენი ........ 1:1
გენტი-მოლენბეკი ........ 4:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ქარაგუმრუქი ........ 2:1
სამსუნი-ქაშიმფაშა ........ 4:2
ბეშიქთაში-ფენერბახჩე ........ 1:3

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ზალცბურგი ........ 0:1
კლაგენფურტი-აუსტრია ........ 2:2
ლუშტენაუ-ლინცერი ........ 1:3

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-ჰართსი ........ 2:1
ლივინგსტონი-ჰიბერნიანი ........ 0:1
მოზერველი-სტ.ჯონსონი ........ 1:1
რეინჯერსი-დანდი ........ 3:1
სტ.მირენი-როსი ........ 2:0

### ნორვეგია. თასი

ფინალი

ბოდო-მიოლდე ........ 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. იტალია-შვეიცარიის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. გზაგამტარი ჩქაროსნულ ავტობანზე; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ბრიტანული ტაქსი; 20. ქალაქი ჩეხეთში.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 6. შვედეთის დედაქალაქი; 9. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 15. ძველ ბერძენი დრამატურგი; 16. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. აეროპორტი ბრიუსელში; 22. ქართველ მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხარფუხი; 2. დიდება; 3. ბარაკონი; 4. ნიველირი; 7. ჰეინიკენი; 8. უტინოურა; 12. ტოპონიმი; 14. სიტროენი; 16. იარანგი; 17. მუხიანი; 19. ტირე; 20. კალო.

**თარაზულად:** 5. სალივანი; 6. ამარკორდი; 9. მულინე; 10. ბარელი; 11. გინზა; 13. ჩორდი; 15. ჰიმენე; 18. განჯა; 21. სეფაშვილი; 22. ნოვაცია; 23. კეტჩერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოსტიოლი; 2. სუფლე; 3. გუჯაბიძე; 4. ფიგარო; 7. სქური; 9. ფსოვი; 12. ადრენალინი; 14. ვენერა; 15. ისტმენი; 17. არქტიკა; 20. ფიალა.

**თარაზულად:** 5. მოლაღური; 6. მაუზერი; 8. ქულბაქი; 10. კაროტინი; 11. გლაქსო; 13. ავენიდა; 16. რიგოლეტო; 18. კრონა; 19. ატენი; 21. პიტროუ; 22. ენდშპილი; 23. კრიკინა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა
akhalitaoba.ge

11 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6695
ევრო — 2.8793
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3590
100 რუსული რუბლი — 2.9157

ამინდის პროგნოზი 11 დეკემბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯუდ ბელინგემი: „შეგვეძლო უკეთესად გვეთამაშა“



მადრიდის..რეალმა სტუმრად ვერ შეძლო ბეტისის დამარცხება და მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. რეალის მხრიდან შეხვედრაში ერთადერთი გოლი ჯუდ ბელინგემის ანგარიშზეა, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისთვის და მისი გუნდისთვის ეს საუკეთესო თამაში არ იყო:

– ბევრი შეცდომა დავუშვით და მეტოქემ ამით ისარგებლა. შეგვეძლო როგორც მოგება, ასევე წაგება და ფრე სამართლიანია. მომავალში ჩვენს შეცდომებზე უნდა ვიმუშაოთ.



## ჰარი კეინი: „აინტრახტმა ყველა კომპონენტში დაგვჩაგრა“

მიუნხენის ბაიერნმა სტუმრად აინტრახთან 1:5 წააგო და ეს უდიდესი სენსაციაა, რადგან ბაიერნი წლების მანძილზე გერმანიაში საუკეთესო გუნდის სტატუსს არავის უთმობს.

მატჩის შემდეგ ბაიერნის მთავარმა ბომბარდირმა ჰარი კეინმა თქვა, რომ მეტოქემ ისინი ყველა კომპონენტში დაჩაგრა და დამსახურებულად გაიმარჯვა:

– არ ვიცი, რა დაგვემართა, მაგრამ ბაიერნი დღეს თავის თავს არ ჰგავდა. მეტოქემ დამსახურებულად მოიგო და ჩვენ შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

## მიკელ არტეტა: „არსენალი წაგებას არ იმსახურებდა“



არსენალი სტუმრად დამარცხდა ასტონ ვილასთან ანგარიშით 0:1 და მიკელ არტეტას გუნდმა ლიდერობა დაკარგა.

არსენალი მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს უპირატესობის გამოყენება:

– სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ ვთვლი, რომ კარგად ვითამაშეთ და წაგებას არ ვიმსახურებდით. ასტონ ვილა კარგი გუნდია და მათ აქვთ პოტენციალი. არსენალს შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ტარიელ ხარხელაური პოეზიის საღამოს გარდაცვლილ შვილს მიუძღვნის



13 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში პოეტი ტარიელ ხარხელაური პოეზიის საღამოს გამართავს და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

პოეტის საღამო თსუ-ში ტრადიციულია და ის ტარიელ ხარხელაურის გარდაცვლილ შვილს, ბექას ეძღვნება:

– ჩემო ბექა! ჩემი ფიქრი შენს გარშემო ბრუნავს, შენთან ათენ-ალამებს, შენს სუნთქვას აყურადებს, შენით ივსება და იცლება, მხოლოდ შენზე ფიქრს შეუძლია ჩემი კუთვნილი სამზეოს გალამაზება.

მხოლოდ შენზე მუდმივად ფიქრმა შეძლო ჩემი ტკივილის ამღერება. ალარც შენი ნაადრევად გასვლა მიკვირს ამ წუთისოფლიდან. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ შენ 23 წელი სრულად იცხოვრე, სავსემ იცხოვრე. სიმღერაც შეგეძლო, სიყვარულიც. კაცობა იყო შენი ძლიერი ქედის საზიდი. შენ ფერებს ჩვენნაირთა ცრემლი არსად წაადგება, მაგრამ გვაპატიე, თუ ხანდახან მაინც, უშენობით მოგვრილმა სევდამ მოგვინედლოს ამქვეყნიური მტვრით მინაქრული თვალები.

მზე რომ ამოდის, ასე მგონია, უფრო ნათელია, რადგან შენი განუმეორებელი ღიმილით შეივსო. ქარი რომ ბორგავს, შენი ხასიათია, მარად მოძრავი, დაუდგრომელი. წვიმა, წვიმაც კი განსაკუთრებულად მეჩვენება – თითქოს უფრო ძლიერად წვიმს, რადგან წვიმის წვეთების ხმაურში, შენს სიმღერას შენეული კაცური ხმით ვისმენ.

ამიტომაც არის, რომ უფრო ძნელად დასაჯერებელი გამიხდა დრო – რომელი უფრო ნამდვილი დროა, მე რომ ვცხოვრობ და განზომილებადია, თუ დრო, შენ რომ ცხოვრობ და განუზომელი. ყოველი შემთხვევისათვის, მე აქედან ასე მეჩვენება.

## ბაბი კირკიტაძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ გამოიკითხა



მომღერალ ბაბი კირკიტაძეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება. როგორც თავად აცხადებს, ინტერნეტში მასზე ამაზრზენი ვიდეომონტაჟი ვრცელდება. „ღამის შოუს“ ბენდის ვოკალისტმა გადაწყვიტა სამართალდამცველებს მიმართოს და დამნაშავე უმკაცრესად დასაჯოს, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გამოკითხვაზე მისვლა ვერ შეძლო:

– ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ მსგავსი რამის დაწერა მომიწევდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანების ბოროტებას საზღვარი არ აქვს! პირობას გაძლევთ, ადრე თუ გვიან, ყველას პასუხი მოგეთხოვებათ, დამმონტაჟებელსაც და თითოეულ გამავრცელებელსაც ამ ცილისწამებისთვის! ვერც ჩურჩულით დადებული ხმა გიშველით და ვერც შუაში „სპიშკით“ გადაფარული და დამონტაჟებული საზიზღრობა. ფეიკით შემაშინებთ! ყველასთვის გასაგები რომ იყოს, ჭორებით, დაცინვით და ათასი საშინელებით რომ ვერაფერი მიქნეს, ახლა ისეთ ამაზრზენ ვიდეომონტაჟს ავრცელებენ ჩემზე ჩათებში, პორნოსაიტებზეც რომ აღარ დებენ. მე ამასაც გავუძლებ, ამასაც რაღაცნაირად გადავიტან. იმ საზიზღრობის შემქმნელებს და გამავრცელებლებს რაც შეეხებათ, ისინი მთელი თავისი ცხოვრება თავისავე ბოროტებასა და ბოღმაში ჩაიხრჩობიან.

აუცილებლად შევიტან სარჩელს და მანამ არ გავჩერდები, სანამ ყველა დამნაშავე პასუხს არ აგებს!

**გიორგი გაბუნია, „ღამის შოუს“ წამყვანი:**

– გამომდინარე იქედან, რომ ჩემი მეგობარი ბაბი საკმაოდ მძიმე ემოციური წნეხის ქვეშაა, ჩავთვალე, მე დავწერო ეს პოსტი: გახდა ადამიანი ცუდად, ალბათ არ მკითხავთ რატომ? და ჩვენების მიცემა გადაიდო ორშაბათისთვის, რაც ზუსტად ვიცი. მაგრამ ამის გამო დაიწყო ახალი, მორიგი „სასიამოვნო“ კამპანია ბაბის წინააღმდეგ, თითქოს რაღაცას გაურბის. გუშინ ყველა ერთად მხარში ვედექით, ვამხნევებდით და დღეს ეგრევე ვცვალეთ პოზიცია საწინააღმდეგოდ?! ანუ ცუდად გახდომა, როდესაც ამდენი დღის ნანერვიულები ხარ, არ შეიძლება? და როცა თავი არ გაქვს სადმე მიუსვლელობით, ასე უნდა გავილანძღოთ?

მე არ მესმის მსგავსი მიდგომა და ქცევა, ოღონდ მართლა! ან დედა არ გყავთ, ან მამა, ან ნათესავი? რა გიყვართ საერთოდ? რას სცემთ პატივს? ვერ გავიგე!

მოკლედ, ორშაბათს ეს გამოძიება დაიწყება! ბოლომდეც მივა! დამნაშავეც დაისჯება და ისე ნუ იზამს ნურავინ, რომ თანამონაწილე გახდეს ამ დანაშაულის! ჩემი რჩევაა.

რაღაც ხომ არსებობს, ხალხნო. ყველაფერი დავკარგეთ? ადამიანობა, ოჯახების პატივისცემა და თავმოყვარეობაც? შეიძლება ერთმანეთს ვერ ვეთანხმებით რიგ საკითხებზე, მაგრამ რაღაც ზღვარი ხომ არსებობს?

**სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

– კიდევ ერთხელ და ყოველთვის ვგმობ ნებისმიერ ფორმით ქალთა მიმართ ძალადობასა და ღირსების შელახვას!

**ნიკა გვარამია, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებელი:**

– მგონი, პირველად ვდებ „იმედის“ ქარდს. მაგრამ ეს თუ მართალია, ჩემი სრული მხარდაჭერა და გვერდში დგომა ბაბი კირკიტაძეს!

**ეკატერინე ფანგანი, ტელეწამყვანი:**

– სიძულვილის ენაზე ვერ ისაუბრებს ბედნიერი, სიყვარულით სავსე ადამიანი. სიძულვილის ენაზე მხოლოდ ის საუბრობს, ვისაც საკუთარი თავიც კი სძულს, ისეთი შეპყრობილი ჰყავს სიბოროტეს, შურს, მრავალ კომპლექსს და დაუკმაყოფილებლობას. ყველა ასეთ ადამიანს, გულწრფელად ვუსურვებ გამოჯანმრთელებას, რადგან სულის ავადმყოფობა ბევრად მძიმეა, ვიდრე ნებისმიერი სხვა, რაიმე დაავადება ხორცისა. ლამაზ და ნიჭიერ ბაბის კი ვუსურვებ კიდევ უფრო დიდსა და თავბრუდამხვევ წარმატებას.

ბაბი, ძალიან მაგარი გოგო ხარ და გვიყვარხარ! თავად იცი, რომ მავანნი ვერაფერს დაგაკლებენ. ჩემი სოლიდარობა ბაბის და სულ ყველა იმ ადამიანს, ვისაც ბინძური ხერხებით ებრძვიან, აბულინგებენ, ლანძღავენ, აშანტაჟებენ, დასცინიან და ცილს სწამებენ. ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია, მაგრამ, ასევე, თავად ცხოვრება ბუმერანგია. გახსოვდეთ!

## ირაკლი ფარჯიანის იოანეს სახარება კალენდრად გამოიცა



მხატვარ ირაკლი ფარჯიანის იოანეს სახარების ილუსტრაციებით 2024 წლის კედლის კალენდარი გამოიცა.

მხატვრის მიერ გადაწერილი და დასურათებული სახარებების ფაქსიმილე გამოცემები ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იყო წარდგენილი.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების წარდგენით იოანეს და მარკოზის სახარებებმა ის დიდი გზა დაიწყო, რაც ფაქსიმილე გამოცემების მსოფლიოს წინაშე წარდგენას ითვალისწინებს.

## ნანუკა გულუა ბიჭის დედა გახდა



სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ვარსკვლავი, ნანუკა გულუა ბიჭის დედა გახდა. პატარას მშობლებმა იკუნა დაარქვეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს:

– იკუნას დედაც გავხდი. ნინას ჰგავს ძალიან! – ამბობს მსახიობი.

ნანუკა გულუას და მის მეუღლეს კახა კაშიას პირველი შვილი გოგონა, 1 წლის ნინა ჰყავთ.

## გიორგი გიგაშვილი ახალ ალბომს წერს

არაერთი საერთაშორისო კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებული პიანისტი გიორგი გიგაშვილი ახალ ალბომს წერს.

ახალი ალბომის ჩანაწერები ვენის რადიო სიმფონიურ ორკესტრსა და ჰოუარდ გრიფიტთან ერთად მიმდინარეობს.

ალბომში მოცარტის საფორტეპიანო კონცერტები შევა და მისი მოსმენა კლასიკური მუსიკის მოყვარულ მსმენელს უახლოეს მომავალში შეეძლება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 2. სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური ბოჭკოვანი მცენარე; 3. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 6. ფუტკრის სკის შავი ფიჭა; 9. ადვოკატის ძველი სახელწოდება; 13. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 14. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 15. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 17. ბატის ნაზი ბუმბული; 18. ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად სანოტო ნიშანი მუსიკაში; 20. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 1. ფირმა „ადიდასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი; 5. აეროპორტი პეკინში; 7. სოფლის შარაგზა; 8. ფილმ „ლონდრეს“ რეჟისორი; 10. სარგებლით გასესხებული ფულის ძირითადი თანხა; 11. თეატრალური სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 12. აბანოს თანამშრომელი; 16. ულრანი, ტროპიკული ტყე; 17. ინდოეთის ეროვნული გმირი; 19. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 22. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 23. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 24. ღვინის ვაჭარი ძველად საქართველოში.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა